თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ბიულეტენი

№33

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

ტრადიციული მრავალხმიანობის XI საერთაშორისო სიმპოზიუმი

ტრისტან სიხარულიძის 85 წლის საიუბილეოდ

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“

უცხოური მრავალხმიანობა
ხოსას ხალხის ობერტონული მრავალხმიანობა

„ნანინას“ ექსპერიმენტული პროექტი - „ფოლკლორი ყველასათვის“

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი - 2022

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები
ტრიო „ლამაზიკა“ საფრანგეთიდან

ერთი ახალი ანსამბლი
ფოლკლორული ანსამბლი „ლალხორი“

ქართული სიმღერა-გალობის მოამაგე -
ანდრია ბენაშვილი

ერთი უცხოური ნარკვევი ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე

ეთნოგრაფიული წერილები
ნიშნობა და ქორწილი სამეგრელოში (ნაწილი II)

ერთი ტრადიციული რიტუალი - კვირიკობა

წმინდა კვირიკესა და ივლიტას ტროპარი

თბილისი. იანვარი. 2023

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(ივლისი-დეკემბერი, 2022)

ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები

6-8.07.2022 - ოზურგეთში გაიმართა გიორგი სალუქვაძის სახელობის საერთაშორისო ფოლკლორული კონკურს-ფესტივალი.

14-15.07.2022 - ზუგდიდში გაიმართა პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მეორე საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და“.

15-17.07.2022; 22-24.07.2022 - ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ ჩატარდა ფესტივალი „არტ გენი“.

26-30.09.2022 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა ტრადიციული მრავალხმიანობის XI საერთაშორისო სიმპოზიუმი.

8.10-14.11.2022 - საქართველოს საგუნდო საზოგადოების ორგანიზებით, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების VI ეროვნული კონკურსი ჩატარდა.

9.10.2022 - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქში ქართლური ტრადიციული სიმღერისა და გალობის ფესტივალი გაიმართა.

10.10-8.11.2022 - ახალციხეში, ბათუმში, ოზურგეთში, თელავში, თბილიში, ზუგდიდსა და ქუთაისში ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მეორე ტური გაიმართა.

25.10-8.11.2022 - თბილისში თბილისის საგუნდო მუსიკის XII ფესტივალი გაიმართა.

4-6.11.2022 - ბათუმში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XVII ფესტივალი გაიმართა.

6.11.2022 - თბილისში ბავშვთა პირველი ფოლკლორული ფესტივალი გაიმართა.

9-12.11.2022 - ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტში ტრადიციული მუსიკის კვლევის საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა, სადაც ქართველმა ეთნომუსიკოლოგებმა ლოლიტა სურმანიძემ და ნინო რაზმაძემ მიიღეს მონაწილეობა.

16-23.10.2022 - თბილისში, ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ ჩატარდა.

ლექციები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.

16.07.2022 - პროექტის „ფოლკლორი ყველასთვის“ ფარგლებში, ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითმა ჯგუფმა „ნანინამ“ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უსინათლოთათვის კონცერტი და სიმღერა-ფერხულის მასტერკლასი ჩაატარა.

4.08.2022 - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გაიმართა პრეზენტაცია სანოტო კრებულისa „ქართული ხალხური სიმღერები - გურია“.

1-10.09.2022 - ეთნომუსიკოლოგმა ნინო ნანეიშვილმა თბილისში, კახეთში, სამეგრელოსა და აჭარაში ადგილობრივ ეთნოფორებთან ერთად ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები ჩაატარა.

16.09.2022 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის ლაბორატორიის ორგანიზებით, ონლაინ რეჟიმში ჩატარდა ექვთიმე კერესელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარი.

29.09.2022 - ოზურგეთში ტრისტან სიხარულიძის ვარსკვლავი გაიხსნა.

6.11.2022 - ბათუმში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ფესტივალზე ანსამბლ „იალონის“ აუდიოალბომისა და აჭარის რადიოს საარქივო ჩანაწერების პრეზენტაცია გაიმართა.

17-19.11.2022 - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ოსური ცეკვის მასტერკლასები ჩატარდა.

20.11.2022 - თბილისის ბაროკოს მუსიკის ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მიხეილ ჯავახიშვილის საჯარო ლექცია „ქართული ხალხური სიმღერის ტრადიციის აღდგენა და დამკვიდრება ქართველ ერში“.

21.12.2022 - ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ნინო ნანეიშვილის საჯარო ლექცია „ქრისტეშობის მუსიკალური ტრადიცია საქართველოში“ გაიმართა.

26.12.2022 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის ლაბორატორიის ორგანიზებით ჩატარდა ექვთიმე კერესელიძის სახელობის სამეცნიერო სემინარი.

28.12.2022 - თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ლოტბარ თორნიკე სხიერელის მასტერკლასი ჩატარდა თემაზე „რაჭული მუსიკალური დიალექტი და მისი მახასიათებლები“.

28-30.12.2022 - ეთნომუსიკოლოგმა ნინო ნანეიშვილმა ბელგიაში ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები ჩაატარა.

კონცერტები, საღამოები, გამოფენები, იუბილეები...

12.07.2022 - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში ანსამბლ „რეხეულის“ შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

14.07.2022 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში გალობის უნივერსიტეტის საანგარიშო კონცერტი გაიმართა.

15.07.2022 - ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში ანსამბლ „მარგალიტისა“ და ჰოლანდიელი მეგობრების კონცერტი გაიმართა.

17.07.2022 - ანსამბლმა „ერისიონმა“ ბათუმში სოლო კონცერტი გამართა.

19.07.2022 - ანსამბლმა „ერისიონმა“ ლენტეხში სოლო კონცერტი გამართა.

20.07.2022 - ხარაგაულის კინოთეატრში ხარაგაულის ანსამბლ „უბისას“ და დედას ლევანას სახელობის ფოლკლორულ ანსამბლ „შილდას“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

21.07.2022 - ანსამბლმა „ერისიონმა“ ამბროლაურში სოლო კონცერტი გამართა.

23.07.2022 - ანსამბლმა „ერისიონმა“ ონში სოლო კონცერტი გამართა.

25.07.2022 - ოზურგეთში ფილიმონ ქორიძისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ფილიმონობა“ ჩატარდა.

4.08.2022 - ანსამბლმა „დიდგორმა“ მესტიაში სოლო კონცერტი გამართა.

5.08.2022 - ანსამბლმა „დიდგორმა“ ლენტეხში სოლო კონცერტი გამართა.

25.08.2022 - ქედის კულტურის ცენტრში ქართული ტრადიციული მუსიკის კონცერტი გაიმართა, სადაც მონაწილეობდნენ ანსამბლები „იალონი“, „მარეთი“ და „ნაი“.

1.09.2022 - ანსამბლმა „სამებამ“ სამების ახალგაზრდულ ცენტრში სოლო კონცერტი გამართა.

9.09.2022 - სენაკის თეატრში ქართული ტრადიციული მუსიკის კონცერტი გაიმართა, სადაც მონაწილეობდნენ ანსამბლები „იალონი“, „მუსიკელი“ და „კოლხური ტრიო“.

24.09.2022 - ფესტივალ „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ანსამბლ „ბასიანის“ სოლო კონცერტი გაიმართა.

26.09.2022 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის XI საერთაშორისო სიმპოზიუმის გახსნის გალა კონცერტი გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

27-30.09.2022 - ტრადიციული მრავალხმიანობის XI საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში მსოფლიო და ქართული მრავალხმიანობის კონცერტები გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული და უცხოური ფოლკლორული ანსამბლები.

30.09.2022 - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში ტრადიციული მრავალხმიანობის XI საერთაშორისო სიმპოზიუმის დასკვნითი გალა კონცერტი ჩატარდა.

1.10.2022 - რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში ტრისტან სიხარულიძის საიუბილეო საღამო გაიმართა.

12.10.2022 - ფესტივალ „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში, გორის ქალთა გუნდისა და ანსამბლ „შავნაბადას“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

23.10.2022 - სიღნაღის თეატრში ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ და ფოლკლორულ ანსამბლ „ზედაშეს“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

23.10.2022 - ფესტივალ „შემოდგომის თბილისის“ ფარგლებში ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა.

23.10.2022 - რუსთავში ანსამბლ „თუთარჩელას“ კონცერტი გაიმართა.

24.10.2022 - ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ და დედას ლევანას სახელობის ფოლკლორულ ანსამბლ „შილდას“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.
29.10.2022 - ბათუმში აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანის“ საიუბილეო კონცერტი გაიმართა.
18.11.2022 - სამების ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში ანსამბლ „სამების“ შემოქმედებითი საღამო გაიმართა.
20.11.2022 - „ქალაქის თეატრში“ ხალხური სიმღერის საღამო გაიმართა.
25.11.2022 - ჩოხატაურის კულტურის ცენტრში რამინ მიქაბერიძის საიუბილეო საღამო გაიმართა.
25.11.2022 - საჩხერის კულტურის ცენტრში გალობის უნივერსიტეტის სტუდენტების სოლო კონცერტი გაიმართა.
27.11.2022 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში თინათინ ჟვანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული მუსიკის საღამო გაიმართა.
5.12.2022 - სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა ღონისძიება „გალობის უნივერსიტეტი დღეს“.
6.12.2022 - თუმანიშვილის თეატრში ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ზეპირსიტყვიერების მიმართულების დასკვნითი კონცერტი გაიმართა.
7.12.2022 - გრიბოედობის თეატრში ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ქორეოგრაფიის მიმართულების დასკვნითი კონცერტი გაიმართა.
9.12.2022 - ვახტანგ სალარიძის საკონცერტო დარბაზში ანსამბლების „რუსთავისა“ და „მართვეს“ კონცერტი გაიმართა.
9-10.12.2022 - ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში სამების საკათედრო ტაძრის საპარტიარქო გუნდის კონცერტები გაიმართა.
10.12.2022 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში გაიმართა ბავშვთა ფოლკლორულ ეთნოგრაფიული სტუდია „ამერ-იმერის“ საღამო „მაღლა მთას მოდგა“.
11.12.2022 - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში კახეთის სალოტბარო სკოლების კონცერტი გაიმართა.
11.12.2022 - ბათუმის მუსიკალურ ცენტრში საოჯახო ანსამბლების კონკურსის ფინალი გაიმართა.
13.12.2022 - რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ დარბაზში ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის დასკვნითი გალა კონცერტი გაიმართა ხალხური მუსიკის, ზეპირსიტყვიერების, ქორეოგრაფიისა და ტრადიციული გალობის მიმართულებით.
14.12.2022 - რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე დარბაზში ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის დასკვნითი კონცერტი გაიმართა ხალხური მუსიკისა და ტრადიციული გალობის მიმართულებით.
19.12.2022 - წეროვნის დევნილთა დასახლებაში ანსამბლ „ბასიანის“ სოლო კონცერტი გაიმართა.
21.12.2022 - ახმეტის კულტურის სახლში ანსამბლ „ბასიანის“ სოლო კონცერტი გაიმართა.
21-22.12.2022 - თბილისის საკონცერტო დარბაზში ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტები გაიმართა.
23.12.2022 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასაკირალის საჯარო სკოლაში ანსამბლ „ბასიანის“ სოლო კონცერტი გაიმართა.
23.12.2022 - ანსამბლმა „ერისიონმა“ ნოქალაქევში სოლო კონცერტი გამართა.
24.12.2022 - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ანსამბლ „მარგალიტის“ კონცერტი გაიმართა.
24.12.2022 - ანსამბლმა „მართვემ“ ვარიანში კონცერტი გამართა.
25.12.2022 - ანსამბლმა „მართვემ“ ნიქოზში კონცერტი გამართა.
25.12.2022 - ანსამბლმა „ერისიონმა“ მარტყოფში სოლო კონცერტი გამართა.
26.12.2022 - ანსამბლმა „მართვემ“ კარალეთში კონცერტი გამართა.
28.12.2022 - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ოზურგეთის სალოტბარო სკოლის საახალწლო კონცერტი გაიმართა.

გასტროლები

8.07.2022 - ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა „ბასიანმა“ შვეიცარიაში, ქალაქ ფრიბურგში სასულიერო მუსიკის

საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

19.08.2022 - ანსამბლმა „რუსთავმა“ შვეიცარიის ქალაქ სიონში ტრადიციული მუსიკის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

26-27.08.2022 - ანსამბლმა „რუსთავმა“ ბელგიაში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

9.09.2022 - ანსამბლმა „ბასიანმა“ ნიდერლანდებში, ქალაქ ტილბურგში დრააიმოლენ ფესტივალ 22-ში (Draaimolen Festival 22) მიიღო მონაწილეობა.

12-17.09.2022 - ფოლკლორულმა ანსამბლმა „ფერხისამ“ პოლონეთის ქალაქ ჰაინოვკაში სასულიერო მუსიკის 41-ე საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

7-12.10.2022 - ტრიო „ხელხვავმა“ ესტონეთში, ქალაქ ტალინში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ „Baltic Wave 2022“-ში მიიღო მონაწილეობა.

13.10.2022 - ანსამბლმა „ჩვენებურებმა“ იერუსალიმში კონცერტი გამართა.

3-11.2022 - ანსამბლმა „ბასიანმა“ ამერიკის სხვადასხვა ქალაქში კონცერტები გამართა.

4-6.11.2022 - სახელმწიფო ანსამბლმა „ერისიონმა“ კონცერტები გამართა შვეიცარიაში.

11.11.2022 - ფოლკლორულმა ანსამბლმა „გორდამ“ და ნინო ნაყეურმა მილანში კონცერტი გამართეს.

20-24.11.2022 - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლები „კოლხა“ და „ათძალი“ მონაწილეობდნენ სტამბულში გამართულ მუსიკისა და ცეკვის მე-8 საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში.

23-24.11.2022 - ანსამბლმა „ბასიანმა“ ესტონეთში კონცერტები გამართა.

25.11.2022 - ანსამბლმა „ჩვენებურებმა“ საფრაგნეთში კონცერტი გამართა.

26.12.2022 - ანსამბლმა „დიდგორმა“ ქალაქ ნუორონი, ფესტივალ „Musas e Terras“-ის დასკვნით კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

29.12.2022 - ანსამბლმა „იალონმა“ ბელგიაში კონცერტი გამართა.

ექსპედიციები

22.07-24.08.2022 - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, გიორგი კრავეიშვილი, თამაზ კრავეიშვილი და გიორგი ალიმბარაშვილი ექსპედიციით იმყოფებოდნენ ტაოში, შავშეთში, კლარჯეთსა და ლაზეთში.

25.07.2022 - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის ორგანიზებით ექსპედიცია ჩატარდა ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში (ექსპედიციის ხელმძღვანელი მაკა ხარძიანი).

2.08.2022 - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის ორგანიზებით ექსპედიცია ჩატარდა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში (ექსპედიციის ხელმძღვანელი დავით შუღლიაშვილი).

28.08-1.09.2022 - ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი ექსპედიციაში იმყოფებოდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში.

11-12.09.2022 - ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი ექსპედიციაში იმყოფებოდა ხოფის რაიონის სოფელ სარფში.

18-20.09.2022 - ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი ექსპედიციაში იმყოფებოდა ხოფის რაიონის სოფელ სარფში.

2-14.10.2022 - ზემო აჭარაში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, ექსპედიცია ჩატარდა (ექსპედიციის ხელმძღვანელი: ნატალია ზუმბაძე).

გამოცემები

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა იუნესკოს ხელშეწყობით გამოსცა კრებული „ქალთა როლი იუნესკოს მიერ აღიარებულ ევროპულ ტრადიციულ სასიმღერო პრაქტიკებში“



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა გამოსცა ბრუნო ნეტლის წიგნის „ეთნომუსიკოლოგიის კვლევა, ოცდაცამეტი თვალსაზრისი“ ქართული თარგმანი



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრობის სამინისტრომ გამოსცა გურგენ გურჩიანის წიგნი „სვანური მუსიკალური ფოლკლორი ეთნომუსიკალურ ასპექტში“



ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გამოსცა კრებული „ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობა – აუდიოჩანაწერები გალობის შემსწავლელთათვის“



ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გამოსცა ნინო ფირცხალავას წიგნი „იოანე პეტრიწი და ქართული მუსიკალურ-ესთეტიკური აზროვნება“



ფოლკლორულმა ანსამბლმა „კირიალესამ“ აუდიოალბომი გამოსცა

პატრიარქის ნათლულების ფოლკლორულმა ანსამბლმა „საგალობელმა“ აუდიოალბომი გამოსცა

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოსცა ქართული გალობის ანთოლოგიის XXII-XXV ტომები

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა გამოსცა ტიმოთი რაისის ნაშრომის ,,ეთნომუსიკოლოგია, ძალიან მოკლე შესავალი“ ქართული თარგმანი

ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდულმა კავშირმა გამოსცა ,,ქართული ხალხური სიმღერების კრებული – რობერტ გოგოლაშვილის საექსპედიციო მასალები“



გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტმა გამოსცა სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების კრებული

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტმა გამოსცა 2019-2021 წლების სტუდენტური ექსპედიციების აუდიოჩანაწერები

მოამზადა ***სოფიკო კოტრიკაძემ***

ტრადიციული მრავალხმიანობის XI საერთაშორისო სიმპოზიუმი

2022 წლის **26-30 სექტემბერს,** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის პატრონაჟითა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ტრადიციული მრავალხმიანობის XI საერთაშორისო სიმპოზიუმს უმასპინძლა.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებულმა საერთაშორისო კონფერენციებმა, 2002 წლიდან, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის სახელწოდებით გააგრძელეს არსებობა. უკვე 20 წელი გავიდა მას შემდეგ, 11 სიმპოზიუმი ჩატარდა, რომლებშიც, ჯამში, მონაწილეობა მიიღო 38 ქვეყნის 450-ზე მეტმა მეცნიერმა და 250-მდე ფოლკლორულმა ანსამბლმა.

იუნესკოს მიერ, 2001 წელს, ქართული პოლიფონიის კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად აღიარების შემდეგ, პირველმა თბილისურმა სიმპოზიუმმა დიდი ინტერესი გამოიწვია ეთნოუსიკალურ წრეებში და მას შემდეგ იგი მრავალხმიანობის მკვლევარ, მსოფლიოში სახელგანთქმულ მრავალ მეცნიერს მასპინძლობდა.

XI სიმპოზიუმის ერთ-ერთი სამეცნიერო სესია

თბილისის სიმპოზიუმები წარმოაჩენენ მრავალხმიანობის კვლევის თანამედროვე ტენდენციებს და ხელს უწყობენ ქართული ეთნომუსიკოლოგიის ინტეგრაციას დასავლურ მეცნიერებასთან, აღვივებენ ქართული პოლიფონიისადმი ინტერესს უცხოელ მკვლევრებში, რომლებიც ერთხმად აღიარებენ მის განსაკუთრებულ ადგილს მსოფლიოს ხალხთა მუსიკალურ კულტურაში.

მეთერთმეტე სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 16 ქვეყნის 36-მა მეცნიერმა, მათ შორის, 28 – უცხოეთიდან. 25-მდე ქართულმა და უცხოურმა ფოლკლორულმა ანსამბლმა.

სიმპოზიუმი გაიხსნა ქალ შემსრულებელთა კონცერტით, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ესწრებოდნენ.

კონცერტზე შესრულდა ქართული, აზერბაიჯანული, ესტონური და უკრაინული ტრადიციული მუსიკის ნიმუშები. უკრაინელმა მომღერალმა და მკვლევარმა კანადიდან, ანდრეა კუზმიჩმა ანსამბლ „იალონთან“ ერთად უკრაინელი ხალხის გმირულ ბრძოლას მიუძღვნა ამ ქვეყნის ხალხური სიმღერები. კონცერტს დაესწრნენ ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული, უკრაინის მოქალაქეები.

სიმპოზიუმის გახსნის კონცერტზე შედგა ტმკსც-ის მიერ გამოცემული წიგნის - „ქალთა როლი იუნესკოს მიერ აღიარებულ ევროპულ ტრადიციულ სასიმღერო პრაქტიკებში“ – პრეზენტაცია, რომელიც შეიქმნა UNESCO-ს 2020-2021 წლების „მონაწილეობის პროგრამის“ ფარგლებში (იდეის ავტორი და კრებულის შემდგენელი, ტმკსც-ის სპეციალისტი თეონა ლომსაძე). წიგნში წარმოდგენილია ევროპის მასშტაბით, იუნესკოს მიერ აღიარებული სასიმღერო პრაქტიკები და ნაჩვენებია, რა როლს ასრულებენ ისინი ქალთა ლიბერალიზაციის თანამედროვე პროცესებში. კრებულში შესულია 13 ქალი ავტორის სტატია იმ პრაქტიკების შესახებ, რომლებშიც ქალთა რეპერტუარს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ესენია: ბულგარული, ესტონური, ლიეტუვური, პორტუგალიური და ქართული.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მცხოვრებმა ქალმა შემსრულებლებმა, რომლებიც წარმოდგენილი არიან აღნიშნულ კრებულში, ასევე, ქალთა ანსამბლმა „მადარამ“ ესტონეთიდან.

ერთ-ერთი კონცერტი
კონსერვატორიის მცირე დარბაზში

27 სექტემბერს შედგა ტმკსც-ის ახალი პუბლიკაციის პრეზენტაცია – ბრუნო ნეტლი: „ეთნომუსიკოლოგიის კვლევა: ოცდაცამეტი თვალსაზრისი“ (ქართულ ენაზე).

სიმპოზიუმის ფარგლებში ნაჩვენები იქნა ბრიტანელი მომღერლების, სუზან ტომსონისა და ჰოლი ტეილორ-ზანცის პოდკასტი – წინაპართა ხმები: ჩვენი ბებიების ხმები; ასევე, იტალიელი ეთნომუსიკოლოგისა და რეჟისორის, რენატო მორელის ფილმი „მოლხენის ხმები“ (Voices of Conviviality) რომელშიც აღწერილია პრემანელი (იტალია) მომღერლებისა და ანსამბლ „ადილეის“ მიერ გატარებული საღამო სვანეთის სოფელ ლახუშდში.

სიმპოზიუმის დახურვის გალა კონცერტი

სიმპოზიუმის სამეცნიერო სესიები წარიმართა ჰიბრიდულ ფორმატში.

სიმპოზიუმის დახურვის დღეს გაიმართა მრგვალი მაგიდა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიაში მეტად აქტუალ თემაზე: „მუსიკალური ფოლკ-ტურიზმი“. წამყვანი გახლდათ მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორი ქეროლაინ ბითელი. თანამომხსენებლები: მარინა დეკრისტოფორო, ჯეფ ბარტონი, ნინო ნანეიშვილი, მადონა ჩამგელიანი.

სიმპოზიუმი საზეიმოდ დაიხურა მსოფლიო მრავალხმიანობის კონცერტით, რომელიც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში ჩატარდა. კონცერტზე, ქართული მრავალხმიანობის კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საპატიო დოქტორის წოდებით დაჯილდოვდნენ ქეროლაინ ბითელი (დიდი ბრიტანეთი), პოლო ვალეჰო (ესპანეთი) და ფრანკ შერბაუმი (გერმანია).

ტმკსც-ის გუნდი

ტრისტან სიხარულიძის 85 წლის საიუბილეოდ

გურული სიმღერის გამორჩეულ შემსრულებელ-იმპროვიზატორს, ღვაწლმოსილ ლოტბარს, ღირსების ორდენის კავალერს და ფოლკლორის ეროვნული პრემიის პირველ ლაურეატს, ხელოვნების ქურუმს, ტრისტან სიხარულიძეს წელს 85 წელი შეუსრულდა. 2022 წლის 29 ოქტომბერს ოზურგეთის მერიის – განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის და კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის – ერთობლივი ორგანიზებით, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გურიის რეგიონულ წარმომადგენლობაში ჩატარდა საზეიმო ღონისძიება, რომელიც მომღერლის სახელობის ვარსკვლავის გახსნით დაგვირგვინდა. ვარსკვლავის გახსნაზე ანსამბლები – „შვიდკაცა“, „შემოქმედი“ და ტრიო „შალვა ჩემო“ რამდენიმე სიმღერით წარსდგნენ. ლოტბარს იუბილე მიულოცეს ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმაც. მომღერლისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა მისი უცხოელი კოლეგების ვიდეოგზავნილები, რომლებმაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიულოცეს მას დაბადების დღე.

ტრისტან სიხარულიძე

1 ნოემბერს, თბილისის რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე ტრისტან სიხარულიძის 85 წლის იუბილე საზეიმო კონცერტით აღინიშნა. მონაწილეობდნენ ანსამბლები: „ერისიონი“, „რუსთავი“, „მარანი“, „დიდგორი“, „ადილეი“, „შვიდკაცა“, „რეხეული“ და „შალვა ჩემო“. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, თეა წულუკიანი ესწრებოდა, რომელმაც ტრისტან სიხარულიძეს ქართული (გურული) ხალხური სიმღერის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საპატიო სიგელი გადასცა; ხოლო მეცენატმა და ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელმა, ვანო ჩხარტიშვილმა მას მინიატურული ოქროს სკულპტურა – „მადლიერების ჩიტი“ გადასცა. „ბედნიერებაა, რომ ჩვენს საუკუნეში კიდევ არსებობს გურული სიმღერების დიდოსტატი შემსრულებელი და მომავალ თაობას საშუალება აქვს, მოისმინოს და შეაფასოს ძველი თაობიდან გადმოსული ცოცხალი ლეგენდა – ტრისტან სიხარულიძე“ – აღნიშნა მან.

გურიაში სხვადასხვა პერიოდში ყოველთვის იყვნენ გამორჩეული შემსრულებლები. ძველი მომღერლებისთვის სიმღერა ცოცხალი შემოქმედებითი პროცესი იყო: ერთხელ ნამღერს მეორედ არ გაიმეორებდნენ და ყოველ ჯერზე ახალი ვარიანტებით ანებივრებდნენ მსმენელს. ასეთი მომღერლების ტრადიციების გამგრძელებელი გახლავთ ტრისტან სიხარულიძე, რომელმაც მსგავსად დიდი წინაპრებისა, გურულ სიმღერას საკუთარი კვალი დააჩნია და საკუთარი ვარიანტებით გაამდიდრა.

ტრისტანის მასწავლებელი მისი მამა – სახელგანთქმული მომღერალი და ლოტბარი ილარიონ სიხარულიძე იყო. თავად ილარიონი არტემ ერქომაიშვილისა და ვარლამ სიმონიშვილის აღზრდილი, მათთან ურთულესი და უმკაცრესი სასიმღერო სკოლაგამოვლილი გახლდათ. ილარიონმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ყველა გურული სიმღერა თავისი ურთულესი ვარიანტებით.

ტრისტან სიხარულიძე სხვადასხვა დროს მღეროდა: ლადიკო ერქომაიშვილის გუნდში, ამირან თოიძის მომღერალთა ანსამბლში, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში (ახლანდელი „ერისიონი“), რომელსაც მაშინ პროფესორი გრიგოლ ჩხიკვაძე ხელმძღვანელობდა. ლოტბარები იყვნენ ვასილ მახარაძე და დათო ბალანჩივაძე. ორი წლის მერე ტრისტან სიხარულიძე გადავიდა ოზურგეთის ანსამბლ „შვიდკაცა“-ში, რომელსაც მიხეილ შავიშვილი ხელმძღვანელობდა. მიხეილ შავიშვილის გარდაცვალების შემდეგ ეს ანსამბლი პრაქტიკულად დაიშალა, მაგრამ ტრისტან სიხარულიძემ თავიდან შეკრიბა წევრები და აღადგინა „შვიდკაცა“. მან, ასევე, აღადგინა ოზურგეთის თეატრის მსახიობთა ფოლკლორული ანსამბლი „სახიონი“.

1982 და 1985 წლებში ანზორ ერქომაიშვილმა ორჯერ მიიწვია გური და ტრისტანი თბილისში, ფირმა „მელოდიაში“ სასწავლო ფირფიტების ჩასაწერად, სადაც უნდა შესულიყო გურული სიმღერების ყველა ხმა ცალ-ცალკე და ერთადაც. სასწავლო კომპაქტური დისკები გამოიცა თანდართული სანოტო კრებულით.

2003 წელს ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრმა უნიკალური კომპაქტ დისკი გამოსცა სახელწოდებით „ჩვენ მშვიდობა“, რომელშიც ამ გურული სიმღერის 26 ვარიანტია წარმოდგენილი, მათ შორის, ბევრი – მივიწყებულიც.

2004 წელს შეიქმნა ტრიო „შალვა ჩემო“ ტრისტან და გური სიხარულიძეებისა და მერაბ კალანდაძის შემადგენლობით. მათ მიერ შესრულებული გურული სიმღერები გამოირჩევა მდიდარი ვარიანტების სიუხვით, ფაქიზი ტემბრალური შეფერილობით, შემოქმედებითი გამომგონებლობით, სიმღერის ღრმა ცოდნით, ორიგინლური სასიმღერო მანერით.

ტრიო „შალვა ჩემო“. ტრისტან და გური სიხარულიძეები, მერაბ კალანდაძე

2017 წლის 12 ივნისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართულ საღამოზე ტრისტან და გური სიხარულიძეებს ფონდმა „ქართულმა გალობამ“ „ხალხური სიმღერის მოამაგის“ საპატიო წოდება მიანიჭა. მათ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ისა და ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებლის, ვანო ჩხარტიშვილის ხელმოწერილი საპატიო სიგელი, სიმბოლური პრიზი და ფულადი პრემია გადაეცათ; მავე წელს ფონდმა „ქართულმა გალობამ“ ამ ორი ლეგენდარული მომღერლის მონოგრაფიაც გამოსცა, რომლის ავტორია ანზორ ერქომაიშვილი.

2018 წელს ტრისტან სიხარულიძეს „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიენიჭა.

ტრისტან სიხარულიძე დღესაც დიდი შემართებით ემსახურება ქართულ (გურულ) ხალხურ სიმღერას: ხელმძღვანელობს ანსამბლ „შვიდკაცას“, მუშაობს კონსულტანტად ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გურიის რეგიონალურ წარმომადგენლობაში, სადაც ახალგაზრდა თაობას აზიარებს გურული სიმღერის ხიბლსა და საიდუმლოებას. სიმღერა მისთვის ცხოვრების წესია, რომელშიც მან გული და სული ჩადო.

მაია გელაშვილი
ეთნომუსიკოლოგი,
ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის
ხალხური მუსიკის
განყოფილების ხელმძღვანელი

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“

აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „არსიანს“ 100 წელი შეუსრულდა. მისი ჩამოყალიბება ცნობილი მუსიკოსისა და ლოტბრის, მელიტონ კუხიანიძის სახელს უკავშირდება, რომელმაც 1921 წელს აჭარაში პირველი ეთნოგრაფიული გუნდი შექმნა.

ანსამბლის პირველი თაობა და მელიტონ კუხიანიძე (1928 წელი)

დაარსებიდან ერთ წელიწადში, 1922 წელს, გუნდმა პირველი სოლო კონცერტი გამართა, 1923 წლიდან კი დაიწყო საგასტროლო მოგზაურობა საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. ერთ-ერთ კონცერტს დაესწრო დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, რომელიც აღაფრთოვანა გუნდის ჟღერადობამ, სასცენო კულტურამ და რეპერტუარის შესრულების აკადემიურმა დონემ.

პირველმა საგასტროლო მოგზაურობამ ცხადყო რეპერტუარში ქართული ცეკვების ჩართვის აუცილებლობა, რაც ცნობილმა ქორეოგრაფმა, დავით ჯავრიშვილმა განახორციელა და სცენაზე მასობრივი ცეკვების დადგმის პირველი პრეცენდენტი შექმნა. მას შემდეგ, ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ: ალექსანდრე ჯიჯეიშვილი, რომელმაც ანსამბლის რეპერტუარი გაამდიდრა „ქართული“, „მთიულური“, „აფხაზური“ ცეკვებით და ქორეოგრაფიის „პატრიარქად“ აღიარებული ენვერ ხაბაძე, რომელიც გახლდათ

სამი ცეკვის – „განდაგანას“, „გადახვეული ხორუმისა“ და „ლაზურის“ ავტორი. ენვერ ხაბაძის მოღვაწეობას უკავშირდება ცეკვა „განდაგანაში“ ქალვაჟის დუეტის გამოყვანა – ფატმან კობალაძისა და ჟანი რეზელიანის შემადგენლობით, რაც ისტორიული მოვლენა იყო იმდროინდელ აჭარულ სინამდვილეში. ამის შემდეგ ფატმან კობალაძემ დაუვიწყარი სოლო ნომრები შეასრულა ცეკვებში: „აჭარული სატრფიალო“, „მთიულური“, „ფარიკაობა“, „თებრონე მიდის წყალზედა“, „ოსური“, „სამაია“ და სხვა. წლების მანძილზე მისი პარტნიორები იყვნენ: ჟანი რეზელიანი, თემელ მიქელაძე, იაკობ (იაშა) ხალვაში, გივი ჩიჩუა, სოსო ჭანტურიშვილი, თამაზ ჯახუტაშვილი, თამაზ ბეჟანიძე, თემურ ფაღავა.

ეს პერიოდი ოქროს ხანადაა წოდებული არა მხოლოდ ანსამბლის, არამედ მთელი აჭარის კულტურის ისტორიაში.

ენვერ ხაბაძე ანსამბლის რეპეტიციაზე (1970 -იანი წლები)

1925 წელს ეთნოგრაფიულ გუნდს აკადემიური ანსამბლის წოდება მიენიჭა, 1929 წელს კი – „ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის“ სტატუსი. ის გახდა მეორე სახელმწიფო ანსამბლი საქართველოში.

1934 წლიდან ანსამბლში მოვიდა არტემ ერქომაიშვილი, რომელმაც დიდი ღვაწლი გასწია ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზებისათვის.

1961 წელს, დაარსების 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს „საქართველოს დამსახურებული ანსამბლის“ საპატიო წოდება მიენიჭა და მისი დამაარსებლის, მელიტონ კუხიანიძის სახელობის გახდა.

მელიტონ კუხიანიძის შემდეგ, სხვადასხვა დროს, ანსამბლს სათავეში ედგნენ ლოტბარები, ქორეოგრაფები და დირიჟორები: პეტრე სულაბერიძე, ნიკოლოზ ჩავლეიშვილი, მერი ვეფხვაძე, ანზორ ანანიძე, ლია თოფურიძე, გულნარა ნოღაიდელი, მურმან ქამადაძე, თემურ ბიბილეიშვილი, თამაზ ბეჟანიძე, ამირან პაიჭაძე, რუსლან გვაზავა, ირაკლი შარაძე, ავთანდილ ჭოლაძე, თემურ ქორიძე, რაფიელ მიქელაძე, ოთარ მიქელაძე, გიორგი ფარსენაძე, იასონ ხომერიკი, გიორგი ჩხარტიშვილი, გიორგი ნაგერვაძე, გიორგი ჩაჩავა, გიორგი ჭანიშვილი...

ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივ და საკავშირო მასშტაბის ხელოვნების დეკადებში, ხალხური მუსიკის ფესტივალებში, მოგზაურობდა საგასტროლო ტურნეებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მათ შორისაა: ეგვიპტე, დანია, ირანი, იტალია, კანარის კუნძულები, კვიპროსი, სირია, თურქეთი, სუდანი, გერმანია, ბელგია, ესპანეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდავეთი, ესტონეთი, რუსეთი, ა.შ.შ., ბელორუსია, უკრაინა, ყაზახეთი და სხვა ქვეყნებში, სადაც მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო ფესტივალებში, გამოფენებში, კონკურსებში, კულტურის დღეებში, საქველმოქმედო ღონისძიებებში; მოპოვებული აქვს არაერთი ფესტივალის უმაღლესი ჯილდო – გრან-პრი და პირველი ადგილი.

2011 წელს გრანდიოზულად აღინიშნა ანსამბლის 90 წლის იუბილე, რომელზეც გაიხსნა ცეკვა „განდაგანას“ პირველი დუეტის სოლისტის, საქართველოსა და აჭარის დამსახურებული არტისტის, ფატმან კობალაძის ვარსკვლავი.

2012 წელს, ამირან პაიჭაძის ძალისხმევით, ჩამოყალიბდა ბავშვთა სიმღერის, ცეკვისა და საკრავების მოსამზადებელი ჯგუფები, რომლებიც დღემდე აგრძელებენ ტრადიციებს და მონაწილეობენ საერთაშორისო ფესტივალებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, საზღვარგარეთ.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, როცა საზეიმოდ გაიხსნა ანსამბლის რეაბილიტირებული შენობა, ბინა დაიდო ანსამბლის მუზეუმმაც და შედგა პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „დაარსებიდან დღემდე“. ფილმის რეჟისორია ირაკლი ყაჭეიშ-

ვილი, სცენარის ავტორი – ანსამბლის პიარ-მენეჯერი ირინე ჩახვაძე. სწორედ ირინე ჩახვაძის თაოსნობითა და ანსამბლის იმჟამინდელი დირექტორის, ოთარ მიქელაძის ხელშეწყობით, მოხდა ანსამბლის მუზეუმის გახსნა.

ფატმან კობალაძე

2016 წელს კულტურის სამინისტროს, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ქორეოგრაფ-მოღვაწეთა კავშირის მხარდჭერითა და შუამდგომლობით, სახელმწიფო ანსამბლს „აკადემიურის“ წოდება მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი რეგიონული აკადემიური ანსამბლი საქართველოში.

ამავე წელს, დაარსებიდან 95 წლის აღსანიშნავად, პირველი საიუბილეო კონცერტი ანსამბლის დამაარსებლის, მელიტონ კუხიანიძის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში ჩატარდა. ბათუმში კი, ანსამბლის შენობის წინ, გაიხსნა „არსიანის“ ვარსკვლავი და მემორიალური დაფა წარწერით „ამაგდარნი ვინც იყო და დარჩა“.

2017 წელს ანსამბლს „არსიანი“ ეწოდა. ეს იმ მთის სახელია, რომელიც გადაჰყურებს, ერთი მხრივ, ტაო-კლარჯეთს და, მეორე მხრივ, საქართველოს. არსიანის ქედი ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს აერთიანებს, ორივე საქართველოს თანაზიარია, ქართველების სიხარულის თუ მწუხარების მოწმე და მემატიანე. სახელი „არსიანი“ ანსამბლს დირექტორის, ოთარ მიქელაძის ინიციატივით დაერქვა, რომელსაც 2018 წელს, ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიენიჭა.

2019 წელს შეიქმნა ანსამბლის ვეტერანთა ქორეოგრაფიული ჯგუფი. ამ იდეის ავტორიც ოთარ მიქელაძე გახლდათ, ჯგუფის შექმნის მიზანი კი, ანსამბლის გამორჩეული, ასაკოვანი მსახიობების დასაქმება იყო. ვეტერანთა ჯგუფის ქორეოგრაფი აჭარის დამსახურებული მოღვაწე, რაფიელ მიქელაძე გახლავთ.

„არსიანის“ საუკუნოვანი იუბილის აღნიშვნას, 2021 წელს, პანდემიამ შეუშალა ხელი. თუმცა, 2022 წლის 29 ოქტომბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის და აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრის, მაია ხაჯიშვილის ხელშეწყობითა და ორგანიზებით, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ჩატარდა „არსიანის“ 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო (რეჟისორი ბაკურ ბაკურაძე), რომლის ფარგლებში გაიმართა ანსამბლის საცეკვაო სამოსის ექსპოზიცია, ფოტოგამოფენა „დაარსებიდან დღემდე“ და საიუბილეო წიგნი-ალბომის პრეზენტაცია.

ვიდეო მიმართვით ანსამბლს იუბილე მიულოცეს: საქართველოს კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, კომპოზიტორმა მარიკა კვალიშვილმა, კინორეჟისორებმა ელდარ შენგელაიამ და მერაბ კოკოჩაშვილმა, ქართული ნაციონალური ბალეტის, „სუხიშვილების“ დირექტორმა ნინო სუხიშვილმა, ჟურნალისტმა თენგიზ უთმელიძემ და მსახიობმა იმედო კახიანმა.

კონცერტის დასასრულს, მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ, ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის „ტბელ აბუსერიძის II ხარისხის“ ორდენით დაჯილდოვა ანსამბლის ამჟამინდელი დირექტორი, გიორგი ჭანიშვილი, ხოლო ანსამბლის წევრებს მიენიჭათ „ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ წოდება. გარდა ამისა, ანსამბლის მომღერლები და მოცეკვავეები კიდევ არაერთი წოდებით, მედლით, სიგელით თუ ორდენით დაჯილდოვდნენ. მათ შორის გახლდათ: „დამსახურებული ქორეოგრაფ-რეპეტიტორის“ წოდება, „ამაგდარის“ მედალი, „მადლიერების“ სიგელი, „საქართველოს ხელოვნების ბრწყინვალების” ორდენი, „საქართველოს ხელოვნების ამაგდარის” ორდენი, „დამსახურებული მო-

ცეკვავის” წოდება, „დამსახურებული მუსიკოს-აკომპანიატორის“ წოდება, „წლის ხელოვანის“ წოდება და „ალამდარის“ ორდენი; პირველად ანსამბლის ისტორიაში - ზურაბ ბაღდადიშვილის სახელობის პრემია.

„არსიანთან“, მისი არსებობის მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე, მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდათ კომპოზიტორებს: ზაქარია ფალიაშვილს, რევაზ ლაღიძეს, შალვა მშველიძეს, სანდრო მირიანაშვილს, მიხეილ ჩირინაშვილს, შოთა მილორავას, გრიგოლ კოკელიძეს, ალექსანდრე ფარცხალაძეს, ლევან შენგელიას, გიორგი მოისწრაფიშვილს. მათი არაერთი სიმღერა აჟღერებულა ანსამბლის საკონცერტო პროგრამაში.

2022 წელს, ანსამბლის დირექტორის, გიორგი ჭანიშვილის ინიციატივითა და ორგანიზებით, საფუძველი ჩაეყარა ანსამბლის დამაარსებლისა და ლოტბრის, მელიტონ კუხიანიძის სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალს, რომელიც 2023 წელს, საქართველოს ყველა აკადემიური ანსამბლის მონაწილეობით, სიმბოლურად, მის დაბადების დღეს – 19 სექტემბერს ჩატარდება.

„არსიანი“ ჩვეული შემართებითა და ახალი პროგრამით აგრძელებს მოღვაწეობას. 2023 წელს იგეგმება ტურნე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და დედაქალაქში. გაგრძელდება საგასტროლო მოგზაურობა მსოფლიოს ქვეყნებში.

ამგვარად, ერთი საუკუნის თავზე, აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“ ერთგულად აგრძელებს ქართული ტრადიციული მუსიკალური კულტურის პოპულარიზებას.

ანსამბლ „არსიანის“ შესახებ სრულად იხილეთ: http://www.ajarafolk.ge/index.php

ირინე ჩახვაძე
ანსამბლ „არსიანის“ პიარ-მენეჯერი

ხოსას ხალხის ობერტონული მრავალხმიანობა

სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ხოსას ხალხი მდიდარი მუსიკალური ტრადიციებით გამოირჩევა. ის ბანტუს მსგავს ენაზე ლაპარაკობს. ხოსას ენა, ისევე, როგორც მრავალი სხვა აფრიკული – ტონალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მელოდია ყალიბდება თავად ტექსტის შინაარსიდან – ერთი და იგივე სიტყვა, ანუ – ასოთა შეთანხმება, სხვადასხვაგვარად ინტონირებისას სხვადასხვა აზრს იძენს.

ხოსას ტომის მომღერალი მამაკაცები

საინტერესოა, რომ სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ტაბო მბეკი, ისევე, როგორც ლეგენდარული ნელსონ მანდელა სწორედ ხოსას ხალხს ეკუთვნიან. ეს ეთნიკური ჯგუფი, რომელიც თავად ნგუნის ეთნოსში შედის, თორმეტი ეთნიკური ერთეულისგან შედგება, რომელთა შორის დომინანტურია ლუმკოს რაიონში, ქვინსლენდთან ახლოს მცხოვრები ტემბუ (Thembu) ხოსა. მის ტრადიციულ კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა ჰოტენტოტებთან და ბუშმენებთან ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მეზობლობამ. საინტერესოა, რომ 1497 წელს ვასკო და გამას გემის ჟურნალში აღნიშნულია, თუ როგორ დახვდნენ მას ჰოტენტოტები, რომლებიც 4-5 სალამურზე ჰარმონიულ მუსიკას უკრავდნენ.

ხოსას მუსიკალური ინსტრუმენტები დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, მაგრამ მათ შორისაა მეტად საინტერესო უჰადი (uhadi) – ერთსიმიანი გოგრის ჭიანურის ტიპის საკრავი; ასევე, ყურადღებას იპყრობს მუსიკალური მშვილდი უმრჰუბე (umrhubhe), რომელიც ხშირად პირზე აქვთ მიბჯენილი. ზოგჯერ იყენებენ ვარგანს „ისი-

ტოლოტოლო“. ყველა ეს საკრავი მდიდარ ობერტონულ პალიტრას ფლობს. ხშირ შემთხვევაში, ხოსას ხალხი ვოკალური ხმოვანებით სწორედ ამ საკრავებს ბაძავს.

ყველაზე საინტერესო კულტურული მოვლენა ხოსას ხალხში მისი ობერტონული მრავალხმიანობაა, სახელად „უმნგქოკოლო“ (umngqokolo). ესაა ხმის ცვალებადობის ტექნიკა, რომლის დროსაც მომღერალი მღერის დაბალი, „გაგუდული“ ხმით (თითქოს მას კატარი, გრიპი ჰქონდეს). სტილ უმნქოკოლო ნგომკანგი-ში (umngqokolo ngomqangi) მოღერალი ორ ხმას გამოსცემს: საყრდენსა და მელოდიურს. ობერტონული შესრულება სწორედ ამას გულისხმობს – ერთი მომღერლის მიერ ობერტონებით მდიდარი დაბალი ხმის გამოცემას, რომელსაც ან იგივე მომღერალი, ან სხვა უხამებს ამ ობერტონებზე აგებულ ზედა ხმას, უმეტესად - მსტვენ მელოდიას. ამგვარი სტილით განსაკუთრებით ცნობილნი არიან მონღოლები, ტუველები, ბაშკირები, ციმბირელები, ჩრდილოამერიკელი ინუკები (ინუიტები)და ა.შ.

ხოსას ტომის მომღერალი ქალები

დაბალ ხმას, რომლის ობერტონებზეც ხდება ყურადღების გამახვილება, ხოსა უწოდებს „იფინგს“. მის ობერტონებს ზედა ხმის შემსრულებლები იყენებენ ბანზე რიტმულად განსხვავებული მელოდიური ფრაზების ზევიდან „დასაფენად“. ამ ტექნიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მომღერალთა იმპროვიზაციის (აფრიკისთვის ჩვეული) უნარი, რითაც ხოსას ობერტონული ჟღერადობა განსხვავებულია თუნდაც ტიბეტელი ბერების ობერტონული ფსალმოდიისაგან. აქვე აღსანიშნია, რომ „უმნგქოკოლო“ შესაძლებელია ერთი მომღერლის მიერაც შესრულდეს.

ყოველ სიმღერას ჰყავს თავისი ლიდერი „ჰლაბელა“ (hlabela). მისი მოპასუხე მომღერლები ან მიჰყვებიან ლიდერს – „ლანდელა“ (landela), ან „ეთანხმებიან“ – „ვუმა“ (vuma). ლიდერი იმეორებს მცირე მოცულობის მელოდიას ოსტინატურად, რასაც უმეტესად დაგვიანებით მიჰყვებიან სხვა ხმები. ამგვარი მიმდევრობა ქმნის შემთხვევებს, რა დროსაც მიმყოლების პარტია გადაიკვეთება ლიდერის მომდევნო ფრაზის საწყისთან. ზოგადად კი ლიდერი-მოპასუხის ამგვარი მონაცვლეობა სტილით უახლოვდება ცნობილ „მოწოდება-პასუხის“ (call and response) ტექნიკას, საკმაოდ დამახასიათებელს მთელი აფრიკისათვის.

ამგვარ ობერტონულ მღერაში ხშირად იკვეთება პოლირიტმიაც, ერთგვარი „რიტმული ჰემიოლა“ – ორწილადი და სამწილადი რიტმების თანამყოფობა, რა დროსაც მოძრაობა და ტაში არ ემთხვევა სიტყვებით გამოხატულ რიტმს.

საინტერესოა, რომ „უმნგქოკოლო ნგომკანგის“ ტექნიკას ზოგჯერ აკავშირებენ მწერ „უმკანგის“ ზუზუნთან, რომელსაც ბიჭები ეკალს ურჭობდნენ, პირთან მიჰქონდათ და პირის ღრუს რეზონატორად გამოყენებით სხვადასხვა ბგერებს იღებდნენ. ამ ტექნიკას დღეს მხოლოდ ერთი ქალი მომღერალი, ნოვაილეთი მბიზვენი (NoWayyilethi Mbizweni) ფლობს.

უმნგქოკოლოს სიმღერები ძირითადად ცეკვების თანხლებით სრულდება. ჟანრულად გამოირჩევა „წინასწარმეტეველების“ სიმღერები, ბიჭების და გოგონების ინიციციაციის სიმღერები, გოგო-ბიჭების ცეკვები უმტშოტშო (umtshotsho), ბიჭების ჯოხებით ბრძოლის სიმღერები (Amagwijo) და ა.შ. ობერტონული ტექნიკით განსაკუთრებით გამოირჩევა სიმღერა „ნონდელეჰაია“, რომელშიც ობერტონურად ინტონირებს რამდენიმე შემსრულებელი ერთად.

გარდა ზემოთაღწერილი ტრადიციისა, ტემბუს ხალხურ მუსიკაში საინტერესოა რთული რიტმული ფიგურაცია და შეუზღუდავი რაოდენობის ხმის პარტია ზოგიერთ სიმღერაში, რაც საკმაოდ რთულ პოლიფონიურ ფაქტურას ქმნის. ხოსას მრავალხმიანობის მკვლევარ დეივ დარგის აზრით, ხოსას ამგვარი მრავალხმიანი არტიკულაცია ნაწილობრივ ბუშმენურ კულტურასთან სიახლოვით უნდა იყოს განპირობებული.

განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა უმნგქოკოლოს ქალ შემსრულებელთა ჯგუფი ნგკოკო Ngqoko, რომლის წამყვანმა სოლისტმა ზაიდელ რუდოლფმა Zaidel-Rudolph ობერტონული მღერის საკუთარი სტილი შეიმუშავა. ასევე მეტად პოპულარულია „ხოსას ჭიანურის დედოფლად“ წოდებული მოდისანი (Modisani)

სამწუხაროდ ხოსას ხალხი თავიანთ უნიკალურ მუსიკალური ტრადიციებს თანდათან ივიწყებს, რაც ძირითადად განპირობებულია ტრადიციული რიტუალების გაქრობით. ხოსას ობერტონული მრავალხმიანობა თანდათან მხოლოდ სასცენო სივრცით ისაზღვრება.

თამაზ გაბისონია
ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

„ნანინას“ ექსპერიმენტული პროექტი – „ფოლკლორი ყველასათვის“

2022 წლის 16 ივლისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ახალი შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში“ გამარჯვებულმა, ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითმა ჯგუფმა „ნანინამ“ განახორციელა პროექტი „ფოლკლორი ყველასათვის“, რომელიც მოიაზრებდა აჭარის ტერიტორიაზე ბათუმის უსინათლოთა კავშირის ბენეფიციარებისთვის ფოლკლორული ლექცია-კონცერტისა და სიმღერა-ფერხულის „მასტერკლასის“ ჩატარებას და მის მსვლელობაში ბენეფიციართა აქტიურ ჩართვას.

ღონისძიება გაიმართა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის დარბაზში. ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითმა ჯგუფმა „ნანინამ“ უსინათლოთა კავშირის ბენეფიციარებს ჩაუტარა შემეცნებითი ლექცია ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ და გაუმართა ფოლკლორული კონცერტი, რომელშიც ჩართული იყო სიმღერები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან.

შეხვედრის ყველაზე ექსპერიმენტული და ემოციური ნაწილი იყო უსინათლოთათვის სიმღერისა და ფერხულის ერთგვარი „მასტერკლასის“ ჩატარება და საფერხულო სიმღერებში მათი ჩართვა, რაზეც ბენეფიციარები სიხარულით და ენთუზიაზმით დათანხმდენ.

ექსპერიმენტი შედგა! შეხვედრამ დადებითი ემოციები გამოიწვია და პოზიტიური განწყობა შეუქმნა ბენეფიციარებს. შეხვედრის შემდეგ მათ აღინიშნეს, რომ ბედნიერად იგრძნეს თავი ჯგუფ „ნანინას“ თითოეული წევრის თანადგომით, მიიღეს ჯგუფის ინიციატივა, როგორც მათდამი სიყვარულის გამოხატულება, შეიცნეს და შეიგრძნეს საკუთარი ქვეყნის ტრადიციები მუსიკალური ფოლკლორის საშუალებით და გამოთქვეს ამგვარ პროექტებში მომავალში მონაწილეობის სურვილი. ასევე, სთხოვეს ჯგუფის წევრებს მსგავსი ღონისძიებების განხორციელება საქართველოს სხვა რეგიონების უსინათლოებისთვისაც.

ღონისძიების აფიშა

როგორც ცნობილია, დღეს მსოფლიოში შშმ ადამიანებისთვის არტ-თერაპიის სპეციალური კურსები იქმნება, რომლებიც წარმოუდგენელ შედეგებს იძლევა. ვფიქრობთ, სწორედ არტ-თერაპიის გაკვეთილი იყო „ნანინას“ მიერ ჩატარებული „მასტერკლასი“ უსინათლოებისათვის. ფერხული ხელის ურთიერთჩაკიდებას და სიმღერასთან ერთად რიტმულად სინქრონულ მოძრაობას მოითხოვს. ამ პროცესში ბენეფიციარების ჩართვა-თანამონაწილეობამ გაუღვივა მათ დაცულობისა და სიახლოვის შეგრძნება მათთან ხელჩაკიდებულ უცხო, მაგრამ მათზე მზრუნველ ადამიანებთან, რადგან ერთად სიმღერას და ცეკვას უდიდესი ზემოქმედების ძალა აქვს ყველაზე და, განსაკუთრებით, შშმ ადამიანებზე. ეს დაეხმარა

მათ, დამუხტულიყვნენ პოზიტიური ენერგიით და ეგრძნოთ, რომ შეუძლებელი არაფერია – შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს!

ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ წევრებს აქვთ გამოცდილება ბავშვებთან, მოხუცებთან და შშმ პირებთან შემოქმედებითი ურთიერთობისა, თუმცა, უსინათლო ბენეფიციარებისთვის ლექცია-კონცერტის გამართვა მათთვის ახალი და საინტერესო გამოწვევა იყო.

ჯგუფი „ნანინა“ და პროექტში ჩართული უსინათლო ბენეფიციარები

პროექტის წარმატებით განხორციელებამ სტიმული მისცა ჯგუფ „ნანინას“, მსგავსი ტიპის ღონისძიებების დაგეგმვისათვის უსინათლოთა და სხვა სახის შშმ ადამიანებისათვის, ასევე ბავშვთა სახლებისა და ხანდაზმულთა თავშეფრებში თბილისსა თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რაც ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მეტი ადამიანის საზოგადოებასთან ინტეგრაციას ტრადიციული ხელოვნების გზით.

აღნიშნული პროექტი საინტერესო პრეცენდენტია, რომელიც, შესაძლოა, მისაბაძიც გახდეს სხვადასხვა დარგის ხელოვანთა გაერთიანებებისათვის, რაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების სოციალური იზოლაციის დაძლევას, საზოგადოებასთან ინტეგრირებას, მათ მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევასა და მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენას შეუწყობს ხელს.

მაკა ხარძიანი

პროექტის ხელმძღვანელი,
ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ დირექტორი

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი - 2022

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი 85 წელზე მეტია საქართველოს ცოცხალი ფოლკლორული ყოფის შუაგულში ტრიალებს, მისი მთავარი გულშემატკივარი და ჭირისუფალია. ცენტრის ძირითადი პრიორიტეტებიდან ერთ-ერთი მთავარი – ოლიმპიადების, დათვალიერებების, ფესტივალების გამართვის იმთავითვე დამკვიდრებული ტრადიციაა, რომელიც ყველაზე ცხადად ავლენს კონკრეტულ დროში ქართული ფოლკლორის მაჯისცემასა და სიცოცხლისუნარიანობას; გვიჩვენებს, კვლავ სისხლსავსე თუა მისი მთავარი არტერია, კვლავ მკაფიოდ თუ ისმის მისი გულისძგერა...

ფესტივალები სხვადასხვა დროს სხვადასხვა პერიოდულობით იმართებოდა. წინა ფესტივალი 2015-16 წლებში ჩატარდა. 2022 წელს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობითა და თანადგომით, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი კვლავ ჩაატარა. ტრადიციულად, ფესტივალმა მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი და მუნიციპალიტეტი და გააერთიანა ხალხური შემოქმედების ყველა დარგი: მუსიკა, ქორეოგრაფია, ზეპირსიტყვიერება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება.

ფესტივალი აპრილში დაიწყო და სამ ეტაპად ჩატარდა: მუნიციპალური, რეგიონული და დასკვნითი ტურები. სამივე ეტაპზე, „ცოცხალ“ რეჟიმში, მუშაობდა ცენტრის კომპეტენტური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ჟიური, რომელიც წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით, ადგი-

ლზე აფასებდა მონაწილეთა მომზადების დონეს: რამდენად იყო გათვალისწინებული ფესტივალის დებულების მოთხოვნები, წარმოდგენილი რეპერტუარი რამდენად შეესაბამებოდა ფოლკლორული ტრადიციის ძირითად მახასიათებლებს, რამდენად ასახავდა ამა თუ იმ რეგიონის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ტრადიციებს (სიმღერა, საკრავები, ცეკვა, სამოსი, რიტუალები...), რამდენად იყო დაცული კუთხური საშემსრულებლო მანერა და სხვა...

ფესტივალის დახურვა რუსთაველის თეატრში

მუსიკის მიმართულებით ფესტივალში მონაწილეობდნენ ფოლკლორული და საოჯახო ანსამბლები, მგალობელთა და მგალობელ-მომღერალთა გუნდები, ხალხურ საკრავებზე ინდივიდუალური შემსრულებლები. რეგიონული ტურის 500-მდე მონაწილე ფესტივალის ლაურეატი გახდა და შესაბამისი დიპლომი გადაეცა, ხოლო საუკეთესოთა შორის საუკეთესო 103 მონაწილე გამარჯვებულის მედლითა და დიპლომით დაჯილდოვდა, მათ შორის 51 – მუსიკის მიმართულებით. ხალხური მუსიკის, ქორეოგრაფიისა და ზეპირსიტყვიერების მიმართულებების დასკვნითი კონცერტები თბილისში გაიმართა, თუმანიშვილის კინომსახიობთა, გრიბოედოვისა და რუსთაველის თეატრების სცენებზე. რაც შეეხება ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების დარგში გამარჯვებულებს, მათი პერსონალური გამოფენა გაიმართება 2023 წელს, თბილისში.

მაღალორგანიზებული იყო ფესტივალის როგორც შემოქმედებით-საკონცერტო, ასევე საინფორმაციო-სარეკლამო მხარე, რაზედაც ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფმა იზრუნა (ჯგუფის ხელმძღვანელი ირაკლი ჭელიძე). აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტთა მესვეურების უმეტესობა მხარში დაუდგა ფესტივალს, რამაც ასევე მნიშვნელოვანწილად განაპირობა ფესტივალის წარმატებული მიმდინარეობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფესტივალზე საოჯახო ანსამბლებისა და ახალგაზრდული საშემსრულებლო ჯგუფების სიმრავლე. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან სწორედ ოჯახებისა და ახალგაზრდების აქტიურობა არის ხალხური ტრადიციის უწყვეტობისა და სიცოცხლისუნარიანობის მყარი გარანტი.

ფესტივალის სიკეთენი და ღირსებანი მნიშვნელოვანწილად ცენტრის დირექტორის გიორგი დონაძისა და სპეციალისტთა საუკეთესო გუნდის დამსახურებაა. მათმა გამოცდილებამ, პროფესიონალიზმმა და ფოლკლორის მიმართ გამორჩეულმა, ობიექტურმა და სწორმა მიდგომამ განაპირობა ფესტივალის უდიდესი წარმატება და პოპულარობა და ახალი გამარჯვებების გზები დასახა.

ნანა ვალიშვილი
ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის
ხალხური მუსიკის მიმართულების
ხელმძღვანელი

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები
ტრიო „ლამაზიკა“ საფრანგეთიდან

ჩვენ ვართ ფრანგი მოყვარული მომღერლები. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე ცუდად, ან სულ ვერ ვსაუბრობთ, უკვე მეოთხედი საუკუნეა, ქართული პოლიფონია გვიყვარს. ქართული სიმღერის ჟღერადობაზე შეყვარებულები, ჩვენ ჩავერთეთ სახიფათო „ბრძოლაში“ ქართულ ხმებთან: მირეი, მეორე ხმა (საჭიროების შემთხვევაში – პირველიც), კლერი, პირველი ხმა (საჭიროების შემთხვევაში – მეორეც) და რომენი, ბანი, ზოგჯერ ივთან (კლერის კომპანიონთან) ერთად ვინაიდან ძლიერი ბანი ძალიან მნიშვნელოვანია ქართულ მრავალხმიანობაში.

ტრიოს მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონების საერო და სასულიერო რეპერტუარის a cappella შესრულება ერთდროულად სასიამო-

ვნოცაა და რთულიც! ასეთია ქართული პოლიფონია: გულგრილობა დაუშვებელია... როდესაც საქართველოში ვმოგზაურობთ, რათა შევხვდეთ მომღერლებს, დავესწროთ ქართულ სუფრას, ჩვენ განსაკუთრებულად შევიგრძნობთ ქართულ ადამიანურ და ხმიერ სითბოს. 2022 წლის სექტემბერში თბილისის XI სიმპოზიუმში მონაწილეობა ჩვენთვის არაჩვეულებრივი გამოცდილება იყო, რომელმაც დაუვიწყარი მოგონებებით აგვავსო; ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით ორგანიზატორებს.

ტრიო „ლამაზიკა“

„ლამაზიკა“ 2017 წელს დაიბადა ბრეტანში (საფრანგეთი) ქართული მრავალხმიანი რეპერტუარის მიმართ ჩვენი საერთო და ღრმა სიყვარულის შედეგად, როგორც ალბათ უკვე მიხვდით. ჩვენ ასევე ვასრულებთ კიდევ ერთ ცოცხალ და რთულ სამხმიან ტრადიციას: კორსიკულ სიმღერებს. კლასიკური მუსიკალური განათლების არმქონე თითოეულ ჩვენგანს იზიდავდა ტრადიციული მრავალხმიანობა, რომელიც ზეპირი გადაცემის ტრადიციას ეფუძნება. საფრანგეთში ბევრი გუნდი ასრულებს „მსოფლიოს სიმღერებს“ – სხვადასხვა ქვეყნის მრავალფეროვან რეპერტუარს. ერთ მშვენიერ დღეს „წავაწყდით“ ქართულ სიმღერას, რომლისგანაც ამოუცნობი და ცოტა უცნაური არომატი მოდიოდა... ჩვენ უფრო მეტი გვინდოდა. საბედნიეროდ, რენში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ანსამბლი „მზე შინა“ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ატარებს მასტერკლასებს ქართულ ხალხურ სიმღერებში, რომლებსაც ისინი აგროვებენ და სხვებსაც სიამოვნებით გადასცემენ. ეს იყო თავგადასავლის დასაწყისი და მას შემდეგ ქართული მრავალხმიანობით ჩვენი გატაცება კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ გატაცებასთან ერთად, გაჩნდა საქართველოში წასვლის, უფრო სწორად, ქართული ბგერის ფესვებთან მიახლოვების სურვილი და მოთხოვნილება!

რა არის აბსოლუტურად უნიკალური? სინამდვილეში რა მოგვწონს? არჩევანს ჩვენი ყურები აკეთებს. მათ განსაკუთრებით იზიდავს უმეტესად არატემპერირებული სიმღერების მდიდარი ჰარმონია და ტემბრული ასოციაცია. უფრო მეტიც, როდესაც საქმე ქართველ მომღერლებს ეხება, ჩვენ აღვიქვამთ ამ მრავალხმიანობის შექმნის ძალიან სპეციფიურ ხერხს, რომელიც სხვას არ გავს. ამას ემატება სტილების მრავალფეროვნება სიმღერისა და ტერიტორიების ტიპების მიხედვით, აგრეთვე ძლიერი იდენტობის გამოხატულება. ჩვენთვის, მომღერლებისთვის, წმინდა გრაალი სხვა არაფერია, თუ არა ამ ბგერების ძიება და მათთან მიახლოება, რამდენადაც ჩვენი უცხო ყურები გვაძლევს ამის საშუალებას. გზა ამაღელვებელია, თუნდაც ადვილი არ იყოს, მით უმეტეს როდესაც ბავშვობიდან არ ხარ ჩაძირული ამ კულტურასა და მუსიკაში.

საქართველოში და მის ნებისმიერ რეგიონში ყოველი სტუმრობისას, ჩვენ აღფრთოვანებული ვართ ტრადიციული სიმღერის სიცოცხლისუნარიანობით. მომღერლები დიდსულოვნად გვიზიარებენ მას როგორც კონცერტების, სუფრების, მასტერკლასების დროს, ისე – ექსპრომტად. ახალგაზრდა თაობების, გოგო-ბიჭების ჩართულობა და მათი ნიჭი ტრადიციას უფრო ცოცხალს ხდის. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სიმპოზიუმის მონაწილე შერეული, არაშერეული და ახალგაზრდული ანსამბლების ხარისხმა. ჩვენ თავს პრივილეგირებულად ვგრძნობთ და მადლიერი ვართ, რომ ხელი მიგვიწვდება ქართულ სიმღერაზე, იუნესკოს მიერ აღიარებულ მსოფლიო მემკვიდრეობასა და ხელოვნებაზე, რომელიც აგრძელებს არსებობას ქვეყანაში არსებული გარემოებების მიუხედავად. ჩვენ ვგრძნობთ პატივისცემას და მზად ვართ, გავაგრძელოთ ეს სიყვარულის ისტორია.

„ლამაზიკას“ ურთიერთობას ორ ძლიერ მუსიკალურ ტრადიციასთან, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებთან შეხვედრები აძლიერებს. საქართველოში, პატივი გვქონდა, გვემუშავა ჩამგელიანებისა და თურმანიძეების ოჯახებთან, მალხაზ ერქვანიძესთან, პოლიკარპე ხუბულავასთან, სოსო კოპალეიშვილთან, კარლ ლინიქთან, ნანა მჟავანაძესთან, ზოე პერესთან, თორნიკე სხიერელთან. კორსიკაში ჯეკი მიკაელიმ და ჟან-ეტიენ ლანჯანიმ შეგვასწავლეს თავისი ტრადიცია, საფრანგეთში ვმუშაობდით ტრიოსთან „მზე შინა“, უფრო ზუსტად, ლორან სტეფანთან.

ანსამბლ „ლამაზიკას“ საკონტაქტო პირი:
mireille.ducasse@irisa.fr

კლერ ვიერმოზი, მირეი დუკასსე და რომენ სანიმორტი

ერთი ახალი ანსამბლი

ფოლკლორული ანსამბლი „ლალხორი“

*დედაქალაქში სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული ანსამბლების ჩამოყალიბების ტრადიცია რამდენიმე წელია არსებობს. ამგვარი ანსამბლებია: რაჭული „ძირიანი“, მეგრული „ოდაბადე“, მოხევური „ჯვარული“ და სხვ. სულ ცოტა ხნის წინ ამ გუნდების რიგებს სვანური ანსამბლი „ლალხორი“ შეუერთდა. ანსამბლის შემოქმედებით პრინციპებსა და მიზნებზე მის ხელმძღვანელს, გიორგი მთაწმინდელის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტს, **ლიკა ლიპარტელიანს** ვესაუბრეთ:*

– როდის ჩამოყალიბდა ანსამბლი „ლალხორი“ და ზოგადად, რატომ გაჩნდა ახალი ფოლკლორული ანსამბლის შექმნის იდეა?

– ჩამოყალიბების იდეა გამიჩნდა 2019 წელს, როდესაც ჩავაბარე გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტში. სვანეთიდან დედაქალაქში საცხოვრებლად გადმოსვლისთავანვე, ვფიქრობდი, შემეკრიბა რამდენიმე გოგონა და გაგვეკეთებინა სვანური ნანები, რადგან ხელთ მქონდა ნანების შედარებით უცნობი ვარიანტები. ამ იდეის განხორციელებაში, გარდა სვანებისა, დამეხმარნენ ჩემი კურსელებიც, გიორგი მთაწმინდელის უნივერსიტეტის სტუდენტები. ანსამბლის შექმნის პირველ ეტაპზე საახლობლოში მოვიკითხე, თუ ვინ მღეროდა და ასე შევკრიბე დაახლოებით 10-15 გოგონა. თავდაპირველად ქალთა რეპერტუარით დავიწყეთ. ანსამბლს „ირინოლა“ დავარქვით. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, გაგვიჩნდა სურვილი, რომ ბიჭებიც შემოგვეკრიბა. ეს იდეა ინტერნეტშიც გავაჟღერე. გამოჩნდნენ მსურველებიც და ასე შემოვიერთეთ რამდენიმე ბიჭი. მათ შორის, განსაკუთრებით აღვნიშნავდი ქვემო სვანეთში გამორჩეული ეთნოფორის, ჯუმბერ მუკბანიანის შვილიშვილებს. თავდაპირველად გვიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, ერთგვარად, გვეშინოდა კიდეც, თუმცა, საბოლოოდ, შედეგმა გვიჩვენა, რომ ჩვენმა გადაწყვეტილებამ გაამართლა.

– რას ნიშნავს სიტყვა „ლალხორი“ და რატომ გადაწყვიტეთ ანსამბლისთვის ამ სახელის დარქმევა?

– როგორც მოგახსენეთ, ანსამბლი თავდაპირველად „ირინოლას“ სახელწოდებით არსებობდა. როდესაც ბიჭებიც შემოგვიერთდნენ, საჭირო გახდა ახალი სახელწოდების მოფიქრება. ამაზე ანსამბლში ბევრს ვმსჯელობდით. გვინდოდა, რომ სახელი ყოფილიყო საინტერესოც, ავთენტიკურიც და ყველაფერ იმის გამომხატველიც, რაც ანსამბლის მიზანს წარმოადგენდა. საბოლოოდ არჩევანი შევაჩერეთ სიტყვა „ლალხორზე“. იდეა ეკუთვნოდა ჩვენი გუნდის ერთ-ერთ წევრს, გიორგი მუკბანიანს. „ლალხორ“ სვანურად შეკრებას ნიშნავს.

ანსამბლი „ლალხორი“

„ლალხორი“ იმართებოდა მაშინ, როდესაც სვანეთში რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ. ვფიქრობ იმ იდეას, რაც ანსამბლის

ჩამოყალიბებისას გვქონდა, სახელწოდება ნამდვილად ამართლებს: ჩვენი შეკრების მიზანიც ხომ სვანური სიმღერა-საგალობლების აღდგენა-პოპულარიზებაა.

– ვინ არიან ანსამბლის წევრები და როგორ მოხდა მათი შეკრება?

– ანსამბლის წევრთა უმეტესობა სვანები ვართ: გვყავს როგორც ბალსზემო და ბალსქვემო, ისე ქვემო სვანეთის წარმომადგენლები. საქართველოს სხვა კუთხის წარმომადგენლები ანსამბლში ძირითადად გიორგი მთაწმინდელის უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. ვცდილობთ პერიოდულად შემოვიერთოთ ახალი წევრები. ისინი თავდაპირველად რეპეტიციებზე გვესწრებიან, გვისმენენ, შემდეგ უკვე ანსამბლის სრულფასოვანი წევრები ხდებიან. სულ 30-მდე ვართ.

– რას მოიცავს ანსამბლის რეპერტუარი და რა წყაროებიდან სწავლობთ სიმღერებს?

– ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს სვანურ სიმღერებსა და საეკლესიო საგალობლებს. საქართველოს სხვა კუთხის სიმღერების შესრულება ჯერ-ჯერობით არ გვიცდია. ანსამბლის შექმნისთანავე, ჩვენი მიზანი იყო, რომ მოგვეცვა მთლიანად, ზემო და ქვემო სვანეთის რეპერტუარი. ძირითადად, საარქივო წყაროებით ვსაზრდოობთ. ჩანაწერების მოძიებაში დიდ დახმარებას გვიწევენ ჩვენი უნივერსიტეტის ლექტორებიც, რისთვისაც მათი მადლობლები ვართ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბესო ფირცხელანი, რომელიც დაუზარლად გვაწვდის მის ხელთ არსებულ მასალებს. ამას გარდა ვსაზრდოობთ საოჯახო არქივებში არსებული ჩანაწერებითაც. ჩვენ, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის დახმარებით, ჩავატარეთ ექსპედიცია: მოვიარეთ მთლიანად ქვემო სვანეთი, ვიყავით უშგულშიც. შეიძლება ითქვას, რომ ქალთა რეპერტუარი საფუძვლიანად შევისწავლეთ. ბუნებრივია, ჩვენი რეპერტუარი ამ მასალებითაც მნიშვნელოვნად გავამდიდრეთ. ანსამბლში მრავლად გვაქვს საცეკვაო ნიმუშებიც, თუმცა, სამწუხაროდ ქორეოგრაფიული ჩანაწერების სიმწირეს განვიცდით.

– როგორია ანსამბლში სიმღერებზე მუშაობის პროცესი და რა სიხშირით ხვდებით ერთმანეთს?

– საარქივო ჩანაწერებზე ყველანი აქტიურად ვმუშაობთ, როგორც სვანი, ისე არა სვანი წევრები. მხოლოდ მე არ ვარ ამ პროცესის ერთპიროვნული წარმმართველი. სიმღერების გარჩევის პროცესში ყველას თავისი წვლილი შეაქვს. მე ძირითადად საშემსრულებლო მანერის კუთხით ვარ ყურადღებით, რათა არ გავცდეთ სვანური დიალექტის ფარგლებს. ვცდილობთ, რომ რეპეტიციები ყოველდღიურ რეჟიმში ჩავატაროთ. თუკი ყველა წევრი არა, რამდენიმე მაინც აუცილებლად ვხვდებით ერთმანეთს ყოველ დღე. ვცდილობთ, მუდმივად ფორმაში ვიყოთ და იმ მუსიკის სამყაროში ვცხოვრობდეთ, რომელსაც ვასრულებთ. ყოველდღიური შეხვედრების მიზანიც სწორედ ეს გახლავთ. ზოგჯერ, რეპეტიციებისას ვნახულობთ ერთი სიმღერის რამდენიმე ვარიანტს და განვიხილავთ მათ. არის შემთხვევები, როდესაც ერთი სიმღერის დროს სხვადასხვა შემსრულებლის ვარიანტებს ვიყენებთ.

ანსამბლი „ლალხორი“ ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ფინალში

– რამდენად თავისუფალი ხართ საშემსრულებლო მანერის კუთხით და თუ გიწევთ სპეციალურად ამ კუთხით მუშაობა?

– მთავარი პრობლემა საშემსრულებლო მანერის კუთხით, ვფიქრობ ისაა, რომ ახალგაზრდები სვანურად არ ვლაპარაკობთ, რაც ძალიან გვიშლის ხელს სიტყვების სწორად წარმოთქმაში. საშემსრულებლო მანერაზე მუშაობა, რა თქმა უნდა, საგანგებოდ გვიწევს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩვენი ანსამბლის ერთ-ერთი წევრი, თამარ ნავერიანი, რომელიც ყველაზე უფროსია ჩვენ შორის. ის ხშირად გვეხმარება გარკვეული სიტყვების სწორად წარმოთქმაში. ხშირად მოხუც ეთნოფორებთან მიწევს დაზუსტება, თუ როგორ გამოითქმის ესა თუ ის სვანური სიტყვა. სვანური კოლორიტის უკეთ შესაქმნელად, ვცდილობთ ზედა ხმების შემსრულებლები სვანები იყონ, თუმცა,

ანსამბლის ყველა წევრმა იცის სიმღერების სამივე ხმა.

– რამდენად აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა ანსამბლი?

– ანსამბლი „ლალხორის“ სახელწოდებით სულ რამდენიმე თვეა რაც არსებობს, შესაბამისად შემოქმედებითი ცხოვრებაც არც თუ ისე მდიდარი გვაქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენს რეპერტუარში 30-მდე სიმღერაა. ანსამბლის ჩამოყალიბებიდან სულ მალე მონაწილეობა მივიღეთ ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებით ჯგუფ „ნანინას“ პროექტში „ქალთა ტრადიციული ყოფა და მუსიკა“ (ხელმძღვანელი მაია გელაშვილი). პროექტის პირველი ეტაპი მოიცავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ნანების პრეზენტაციას. ჩვენთვის განსაკუთრებული სტიმული იყო, როდესაც სპეციალურად ამ პროექტისათვის შევისწავლეთ 14 აკვნის ნანა. ამას გარდა, გვაქვს ხოლმე პატარ-პატარა გასვლები, სადაც საეკლესიო დღესასწაულებზე ერთად ვგალობთ. ჩვენი საკონცერტო ცხოვრებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა სამეცნიერო კონფერენციის კონცერტში და ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში მონაწილეობა.

– რას გვეტყვით ანსამბლის სამომავლო გეგმების შესახებ?

– ჩვენი ანსამბლის მიზანია, რომ შევასრულოთ სვანური სიმღერების უცნობი ვარიანტები. ახლა ვსწავლობთ სვანური „ალილოს“ შედარებით უცნობ ვარიანტს. ვცდილობთ, დიდი დრო დავუთმოთ საარქივო ჩანაწერების მოსმენასა და შესწავლას. ჩვენი მიზანია, რომ რაც შეიძლება მეტი სიმღერა აღვადგინოთ და გავაცოცხლოთ. გაზაფხულისთვის ვგეგმავთ სოლო კონცერტის გამართვასაც, რომელიც ერთგვარად ანსამბლის პრეზენტაციაც იქნება. რაც შეეხება აუდიოალბომის გამოცემას, ეს შედარებით შორეულ პერსპექტივად მესახება.

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სახელთ, გისურვებთ წარმატებებს!

ინტერვიუ ჩაიწერა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა,
სოფიკო კოტრიკაძემ

ქართული სიმღერა-გალობის მოამაგე – ანდრია ბენაშვილი

XIX საუკუნის II ნახევარი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ახალი ფურცელია. ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების იდეალებმა ბიძგი მისცა პროცესებს, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს საზოგადოება საკუთარი იდენტობის ახლებურად შეცნობასა და გააზრებას. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრადიციულ მუსიკას. ქართული საეკლესიო გალობის ნოტირება მაშინდელი საზოგადოებისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია, ასევე, დღის წესრიგშია ხალხური სიმღერების აღმოჩენა სოფლად, მათთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება სცენაზე, და საერთაშორისო სარბიელზე გატანა. მთელ ამ დიდ და შრომატევად პროცესებს წარმართავდნენ შესაბამისი ინტერესებისა და უნარების მქონე ადამიანები. ანდრია ბენაშვილს მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ანდრია ბენაშვილი

ანდრია სიმონის ძე ბენაშვილი დაიბადა 1852 წელს, ზემო მაჩხაანში. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ საკმაოდ მწირია. ცნობილია, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, მისი მოღვაწეობა ქუთაისს დაუკავშირდა.

ბენაშვილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ასწავლიდა ქართულ ენას, ქალთა საე-

პარქიო სასწავლებელში – გალობას, ლოტბარობდა გაბრიელ ეპისკოპოსის მგალობელთა გუნდს. 1885 წელს, თბილისში გამოიცა ბენაშვილის კრებული „ქართული ხმები“, რომელიც აერთიანებს ქართლ-კახური კილოს იოანე ოქროპირის წირვის წესის საგალობლებსა და თავად ანდრიას მიერ შეკრებილ და ნოტირებულ ხალხურ სიმღერებს. აღსანიშ-ნავია, რომ მისი ინტერესების სფერო არ იყო მხოლოდ მუსიკა. ბენაშვილის ავტორობით, უფრო მოგვიანებით, 1894 წელს გამოიცა სახელმძღვა-ნელო „მოკლე ქართული გრამატიკა“. აღსანიშნავია, რომ ანდრია ბენაშვილი მარტვილში გამართულ მგალობელთა გადამამზადებელი კურსების მასწავ-ლებელი იყო დიმიტრი ჭალაგანიძესთან, ფილიმონ ქორიძესთან, ანტონ დუმბაძესა და სხვებთან ერთად. ეს კურსები მაშინ გაიარეს ძუკუ ლოლუამ, ავქსენტი მეგრელიძემ და სხვებმა.

ანდრია ბენაშვილის, როგორც შემკრების, ლოტბარისა და პედაგოგის აქტიური საქმიანობა ასახულია იმდროინდელი პრესის ფურცლებზე.

1904 წელს, გაზეთ „ივერიაში“ ანდრია ბენაშ-ვილი წერს, რომ 25 წლის წინ, ესე იგი ჯერ კიდევ 1879 წელს დაუწყია იმერეთის ეპისკოპოს გაბრი-ელის გუნდის ლოტბარობა. ბენაშვილის მიზანი იყო გუნდისთვის ამ დროს უკვე დამკვიდრებულ რუსულ გალობასთან თანასწორად, ქართულიც ეგალობებინა. ანდრიას წირვისა და ლოცვის სა-გალობლები ბავშვობიდანვე სცოდნია, მაგრამ ამ ცოდნის კიდევ ერთხელ შესამოწმებლად და თა-ვისი მიზნების ასასრულებლად ქიზიყში, თავის მშობლიურ მხარეში, მიუწვევია გალობის საუკე-თესო მცოდნეები – დიაკვნები ყარამან და გიგო მენთეშაშვილები და სხვა პირები, რომელთაგანაც საგალობლები ნოტებზე გადაუღია. ნოტებზე გა-დატანილი სამხმიანი საგალობლები, ანდრიამ ოთხხმიანად გადაამუშავა. როგორც თვითონ წერს, ამით მას საგალობლების ეროვნული კილო, თვი-სება და ტემპი არ შეუცვლია.

გაზეთ „შრომის“ 1882 წლის აპრილის თვის ერთ-ერთი სტატიიდან, ვიგებთ, რომ 25 აპრილს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ანდრია ბენაშ-ვილის ხელმძღვანელობით შესრულდა ქართული გალობა. მის მოსასმენად ბევრი ადამიანი იყო შეკრებილი. ზოგმა მოიწონა, ზოგმა კი ქართულ გალობად ვერ მიიღო.

ანდრია ბენაშვილის საპასუხო წერილში განმარტებულია, რომ ეს გალობა არის ისეთი, როგორსაც ქიზიყში, წმ. ნინოს მონასტერში ამბობენ. თუ ვინმე ვერ აღიქვამს ამ გალობას, ამის მიზეზი არის ის, რომ დასავლეთ საქართველოში კარბელაშვილის გალობა თითქმის არავის გაუგია და რაზეც ყური აქვს მიჩვეული ხალხს, იმ გალობისგან სრულიად განსხვავებულია.

1885 წლის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნე-ბულია ინფორმაცია, რომ „ანდრია ბენაშვილს შე-უდგენია ქართული საეკლესიო გალობებისა (კარ-ბელაშვილის ხმებზე) და სახალხო სიმღერათა ნოტები“. ამ სტატიიდან ვიგებთ, რომ ანდრია იყო თბილისში და ეძებდა ფორტეპიანოზე დამკვრელს ნოტების შესამოწმებლად, რის შემდეგაც უნდოდა მათი დაბეჭდვა. სტატიის ავტორის დახასიათებით, ანდრია ბეჯითი და მცოდნე ადამიანი იყო, რომელ-საც ხელეწიფებოდა ამ ნოტების დაბეჭდვა.

მართლაც, როგორც ჩანს, ხანგრძლივი შრო-მისა და დიდი მონდომების შედეგად „ქართული ხმები“ 1885 წელს გამოიცა მელიქიშვილის სტამ-ბაში, თბილისში. კრებულს ახლავს ავტორის წინასიტყვაობა, სადაც კარგად ჩანს ავტორის სუ-ლისკვეთება და ის დიდი სიყვარული, რომლითაც ამ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა. მისი თქმით, „რაც დრო გადის, უფრო სუსტდება და ქრება ქართული საგალობლები და სიმღერები, უფრო მეტად კი სიმღერები“, რის მიზეზადაც ევროპული და რუსული სიმღერების გავლენებზეც მიუთი-თებდა.

სანოტო მასალას ბენაშვილმა დაურთო საეკ-ლესიო გალობისა და სიმღერის შესრულების ტრა-დიციული წესები, ხმათა სახელწოდებები. ეს გა-ნსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, იმის გათვა-ლისწინებით, რომ ამ პერიოდისათვის მუსიკა-ლური ფოლკლორისტიკა ჯერ კიდევ არ იყო ჩამო-ყალიბებული, როგორც სამეცნიერო დისციპლინა.

კრებულის წინასიტყვაობაშივე ბენაშვილი ცდილობს ამომწურავად განმარტოს ქართული ხალხური სიმღერების შესრულების ზოგიერთ თავისებურება. მათ შორისაა ანტიფონურად შესრულების ყველაზე უფრო გავრცელებული წესი – გუნდების შეჭრილი კადანსებით დაკავშირება.



ანდრია ბენაშვილის სანოტო კრებული „ქართული ხმები“ (1885)

კრებულში ბენაშვილს წამოდგენილი აქვს სიმღერები, რომლებიც, როგორც ჟანრული, ისე დიალექტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ნიმუშების უმეტესობა კახურია, ქიზიყში შეკრებილი. ეს ბუნებრივიც არის, რადგან, ანდრიამ, ქიზიყელმა კაცმა, უფრო კარგად იცოდა მშობლიური კუთხის ფოლკლორი, თუმცა, აქვე, გვხვდება ქართლური, იმერული, გურული და მეგრული სიმღერებიც.

ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს სიმღერების ტექსტებსაც. ხშირ შემთხვევაში მას მოტანილი აქვს სიმღერების ვრცელი ტექსტები. მათ შორის დღეს ნაკლებად ცნობილი, მხატვრულად ღირებული ნიმუშები.

ანდრია ბენაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული იდენტობის გაღვიძებასა და გაღვივებაში რთულ და წინააღმდეგობებით სავსე ეპოქაში.

ანდრია ბენაშვილი გარდაიცვალა 1908 წელს ქუთაისში. დაკრძალეს ბაგრატის ტაძარში, შემდეგ კი მელიტონ ბალანჩივაძესთან ერთად, ქუთაისის პანთეონში გადაასვენეს.

თეონა ბენაშვილი
გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტი

ერთი უცხოური ნარკვევი ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე

2010-2011 წლებში თბილისის სახ. კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრში ვსწავლობდი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტრადიციულ მუსიკას პროფესორების ნატალია ზუმბაძის, რუსუდან წურწუმიასა და თამაზ გაბისონიას ხელმძღვანელობით. შესაძლოა, ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე საუბრისათვის საკმარისი კვალიფიკაცია არ გამაჩნდეს, რადგან ფანდურსაც კი ვერ ვუკრავ კარგად.

კაე ჰისაოკა

მაგრამ, თუ დავესესხები ცნობილ ეთნომუსიკოლოგს, ჯონ ბლექინგს (1928-1990), ავტორს წიგნისა „რამდენად მუსიკალურია ადამიანი?“ (1973), ჩემი გამართლება შეიძლება იმით, რომ, ხალხურ საკრავებზე დაკვრაში დახელოვნებული, ქართველი და ზოგიერთი ევროპელი მუსიკოსისგან განსხვავებით, მე არ გავზრდილვარ ისეთ გარემოში, რომელიც ასეთი მუსიკალური ტექნიკის დაუფლების საშუალებას მომცემდა.

ახალგაზრდა ასაკიდან ჩემმა ინტერესმა აბრეშუმის გზის რეგიონისა და ცენტრალური ევრაზიის სხვა ნაწილების ტრადიციული მუსიკისადმი, საქართველოში მიმიყვანა, რადგან მაინტერესებდა „იდუმალი“ კავკასიის რეგიონის ტრადიციული მრავალხმიანობა, მაგრამ საქართველოში ცოტა ხნით ყოფნის შემდეგ, აღმოვაჩინე, რომ მრავალხმიანობის გარდა, აქ არის შესანიშნავი და საინტე-

რესო მუსიკა. მაგალითად ქალების აკორდეონის თანხლებით სიმღერა თუშეთში – ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიანეთში და დუდუკზე შესრულებული კინტაურის მელოდია თბილისში. ასევე, მომწონს კავკასიური ცეკვები, მაგალითად, „ლეკური“, სასცენო შესრულებითაც კი; მაინტერესებს მე-20 საუკუნის ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაც, მაგ. შალვა მშველიძისა (1904-1984) და ანდრია ბალანჩივაძისა (1905-1992), რასაც პროფ. რ. წურწუმიას წყალობით გავეცანი. სულ ახლახანს დავინტერესდი ტრადიციული მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემით – კავკასიის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ეპოსითა და მითებით. ჩემს სადოქტორო დისერტაციაში განვიხილე ტრადიციული სიმღერისა და კულტურული პოლიტიკის კვლევა მე-20 საუკუნის საქართველოში. ამ თემაზე მუშაობა გადავწყვიტე, რადგან მაინტერესებდა, რატომ ტარდება საქართველოში დღეს პოპულარული „არტ-გენი“ და ხალხური სიმღერის სხვა ფესტივალები ასეთი სიხშირით. ხალხის გამოკითხვებმა დამარწმუნა, რომ ფესტივალები სხვადასხვა რეგიონის ძველი ტრადიციების შენარჩუნებას ისახავს მიზნად.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ძველი სიმღერების შეგროვებას ხელი მოჰკიდეს ეთნომუსიკოლოგებმა. მათ შორის იყო კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი (1873-1953), რომელიც ხალხურ სიმღერებს აგროვებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და ჩრდილოეთ კავკასიაში;

საბჭოთა პერიოდში საქართველოში ხშირად ტარდებოდა ოლიმპიადები, ხალხური სიმღერის ეროვნული კონკურსები, რომლის ჟიურის წევრებიც ქართველი ეთნომუსიკოლოგები იყვნენ. გაზეთ „კომუნისტის“ და იმდროინდელი პრესის სხვა მიმოხილვებიდან ირკვევა, რომ სოციალისტურ ეპოქაშიც კი, როდესაც დიდი ყურადღება ეთმობოდა კულტურულ ინოვაციას, ქართველი ეთნომუსიკოლოგებისთვის უპირველესი იყო ხალხური სიმღერის ტრადიციული ჟღერადობის, მათ შორის, ბუნებრივი ტერციული ჰარმონიის დაცვა. თუმცა, ამის პარალელურად, თბილისელ ინტელექტუალებს შორის არსებობდა რეგიონული გუნდების დაწუნების ტენდენცია.

ამის მიუხედავად, რეგიონული ანსამბლები ცდილობდნენ ტრადიციების შენარჩუნებას, ცენზურის გვერდის ავლით.

პერესტროიკის შემდგომ პერიოდში, ქარიზმატულმა ეთნომუსიკოლოგმა, ედიშერ გარაყანიძემ (1957-1998) ნამდვილი, აუთენტიკური მუსიკის ძიება დაიწყო. ეს მოძრაობა შეიძლება განვიხილოთ სინქრონში ნიუ ეიჯის მოძრაობასთან, რომელიც იმავე პერიოდში წარმოიშვა დასავლურ სამყაროში. ამის მაგალითად „ბითლზი“ გამოდგება. ეს არის მოძრაობა, რომელიც ცდილობს, იპოვოს თანამედროვე, მატერიალური ცივილიზაციის გავლენით დაფარული ჭეშმარიტება.

ჩემზე ასევე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მესხებისა და თუშების კულტურულმა მემკვიდრეობამ. ეს არის ვალერიან მაღრაძის (1923-1988) მიერ შექმნილი მესხეთის გუნდის, ასევე, ლელა თათარაიძისა და სხვა თუში მომღერლების შემოქმედება. ამ რეგიონების შემსრულებლები ამაყობენ თავისი სამშობლოთი, სრულად იღებენ მას თავის ნეგატიური ასპექტებითურთ და ცდილობენ ტრადიციები მომავალ თაობებს გადასცენ. მინდა გამოვხატო პატივისცემა თბილისის კონსერვატორიასა და სხვა კვლევით დაწესებულებებში ახალგაზრდა მეცნიერთა მუდმივი კვლევითი საქმიანობის მიმართ, რომლებიც ხელს უწყობენ ტრადიციულ მუსიკას არა მხოლოდ ადგილობრივად რეგიონებში, არამედ მთელ მსოფლიოში.

კაე ჰისაოკა
ოსაკას უნივერსიტეტის ლიტერატურის დოქტორი, ეთნოლოგიის ეროვნული მუზეუმის მიწვეული მკვლევარი, იაპონია

ეთნოგრაფიული წერილები

ნიშნობა და ქორწილი სამეგრელოში

(ნაწილი II)

ქალის ნიშნობას ჩქარა მოჰყვებოდა ჯვრისწერა და ქორწილი, ამისათვის დღეს ამოირჩევდნენ, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა, რომელ დღეებშიც ჯერისწერა არ შეიძლებოდა, დანარჩენ დღეებში კი ნებადართული იყო. მაგრამ ჯვრისწერა სასურველი იყო უფრო კვირა დღეს, რომელიც ითვლებოდა ბედნიერ დღედ და ამ დღეს იცოდნენ ჩვეულებრივად ჯვრისწერაც ვაჟის სოფელში. ზოგჯერ ჯვარს ქალის სოფელშიაც დაიწერდნენ. ვაჟის მამა ან ბიძა მაყრით მოვიდოდა ქალის წამოსაყვანად. ქალის ოჯახში გაშლიდენ სუფრას და მაყარს დაიწვევდნენ, პატარძალი კი ამ დროს დაიმალებოდა და არ ენახებოდა სასიძოს დადეს და მაყარს. ქალები შეუდგებოდნენ „მოჭყუდუს“ - პატარძალის მორთვას, ჩააცმევდენ მას ჯვარსაწერ ტანისამოს, თავ-პირზე ჩამოაფარებდნენ საბურველს და ისე გამოიყვანდნენ. პატარძალს მოყვებოდა თავისი დადე და მაყრები. ქალის წაყვანამდის მოითხოვდნენ მზითევისა და ქრთამის ჩაბარებას. ერთს კაცს დასვამდენ და იგი შეადგენდა მზითვის სიას. მეორე ფულს სთვლიდა და ყველაფერი ეს უნდა ჩაებარებინათ ვაჟის მამისათვის. თუ რაიმე დააკლდებოდა მზითევს ან ფულს, მაშინვე ასტეხდნენ განგაშსა და ვაჟის მხარე მოითხოვდა მზითვისა და ფულის უკლებლივ მოცემას, შემდეგ გამოიყვანდნენ ატირებულ პატარძალს, რომელიც ეთხოვებოდა თავისს დედ-მამასა და ამხანაგ-მეგობრებს. პატარძალს ცხენზე შესვამდნენ, მას მიჰყვებოდა დადე, ძმა და ბიძა. ყველანი გაემართებოდნენ ვაჟის სოფლისაკენ, სადაც ნეფე-დედოფლისათვის ჯვარი უნდა „გადაეწერათ“. აქ მას დახვდებოდა ნეფე თავისი ამხანაგებით და ნეფე-პატარძალს ეკლესიაში შეიყვანდნენ. სადაც ეკლესია არ იყო, ან ძალიან შორს იყო იგი, ნეფე-დედოფალს ჯვარს გადასწეოდნენ მარანში, სადაც სალოცავი ქვევრები ჰქონდათ ჩაფლული. მღვდელი მათ ჯვარს დასწერდა საეკლესიო წესით, თავზე დაადგამდა ტოტებიან გვირგვინს, რომელსაც სამეგრელოში „მაფემია“-ს უწოდებდენ. პატარძალს მღვდელი პირბადეს ახდიდა, შეასმევდა სასმისს და შემდეგ ისევ ჩამოაფარებდა. ჯვარდაწერილ ნეფე-დედოფალს ეკლესიიდან გამოიყვანდნენ, კარებში ორი მაყარი დადგებოდა გადაჯვარედინებული ხმლებით, რომლის ქვეშ გაატარებდნენ ნეფე-დედოფალს, ამ დროს მაყარი ასტეხავდა სროლას და „კუჩხი ბედნიერა“-ს სიმღერით ყველანი გაემართებოდნენ ნეფის ოჯახში. წინ გაიქცეოდა მახაროზელი, სროლით შევიდოდა ოჯახში და დაიძახებდა: მოგვყავს ნეფე-დედოფალი, გამხიარულდი, ოჯახო, კეთილი და ბედნიერი იყოს მისი ფეხიო და სხვა. მას უმასპინძლდებოდნენ სასმლითა და წვადებით.

ეთნოგრაფი სერგი მაკალათია

მალე გამოჩნდებოდა მაყრიონი ნეფე-დედოფლით, რომელსაც სახლის კარებში დახვდებოდა ვაჟის დედა, დალოცავდა ორივეს და შეაჭმევდა შაქარს ან თაფლს, შეასმევდა აგრეთვე წყალსაც. ნეფე ამ დროს კარებთან დამხობილ თეფშს ფეხის ერთი დარტყმით გატეხავდა, დედოფალი კარებთან მდგარ ჭიქით, ღვინოს წააქცევდა და ნეფე-დედოფალი სახლში შევიდოდნენ. პატარძალს ხელში მისცემდნენ ღომის მარცვლებით სავსე ჯამს, რომელზედაც იდო ერთი კვერცხიც, ამ ჯამით პატარძალი კერას შემოუვლიდა და „თესავდა“ ღომის მარცვლებს, მაყარი მას უკან მისდევდა და მღეროდა „კუჩხა ბედნიერა“-ს. ბოლოს პატარძალი ხელს წაავლებდა საკიდელს და კერიდან გამობრუნდებოდა, დედამთილი მას დალოცავდა „კარგი ფუძისა იყავიო“. ამის შემდეგ, მას დასვამდნენ სკამზე, ხელში ხაჭაპურს მისცემდნენ და კალათაში ვაჟს ჩაუსვამდნენ. ხაჭაპურს მაყარი მოსტაცებდა,

აისროდა მაღლა და ვინც დაიჭერდა, ის გაიქცეოდა, სხვები გამოეკიდებოდნენ, ხაჭაპურს ამტვრევდნენ და ჭამდნენ. პატარძალი კალთიდან ბავშვს ჩამოსვამდა და ასაჩუქრებდა.

გაიშლებოდა ქორწილის სუფრა. თუ დიდი ქორწილი იყო, აშენებდენ ფარდულს – სეფას, სადაც ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებოდენ. დადე და მაყრები პირველად შემოიყვანდნენ პატარძალს და სუფრასთან დასვამდნენ. გაიმართებოდა „შესაწევარი“ და პატარძალს ეწეოდნენ ფულით თუ ნივთებით. ამ მიზნით, სუფრიდან ერთი ვინმე მოკეთეთაგანი ადგებოდა, ხელში აიღებდა მზითევში მონაყოლ სინს ან ტაშტს და დადგებოდა ნეფე-დედოფლის პირდაპირ. სტუმრები მიდიოდენ და სინზე ჰყრიდენ შესაწევარ ფულებს. იქვე მეორე კაციც იდგა, რომელიც ამ ფულებს სთვლიდა, თან ოხუნჯობდა და ამბობდა: „ეს ოქროს ხუთი მანეთიანი მოგართვათ თუთაშხიამ, რომელმაც მოიბოდიშა, მეტის მოტანა მინდოდაო, მაგრამ ჭირნახულის მოუსვლელობამ დაგვაზარალა და მეორე რძლის მოყვანისას უფრო მეტს მოგართმევო. ყოველ შესაწევარის მიღების დროს ასეთ სახუმარო სიტყვებს ატანდა და სტუმრებიც იცინოდნენ და მხიარულობდნენ. ნეფე-პატარძალს ყველანი ასაჩუქრებდნენ, გარდა ქალის მომყოლი მაყრებისა, რომლებსაც შესაწევარის გაღება არ ევალებოდათ. ამის შემდეგ დადე დედოფალს პირბადეს ახდიდა, მაშინ პირველად დაინახავდნენ დედოფალს, სინჯავდენ მას და სიხარულის ნიშნად, თოფებს ისროდნენ. შემდეგ შემოიყვანდნენ ნეფეს და ახლა იგი გაუმასპინძლდებოდა მაყარს სასმლითა და თამბაქოთი. ნეფე-დედოფალს ერთად დასვამდნენ და დაიწყებოდა მათი დალოცვა.

ნეფე-დედოფალს სუფრაზე უვლიდა დადე, რომელიც პატარძალს გაატარებდა, ტანისამოსს გაუსწორებდა, ცოტა რამეს შეაჭმევდა, შეასმევდა და სხვა. ირჩევდნენ სუფრის თამადას. ქალისა და კაცის მაყრები დასხდებოდნენ ცალკე და პირისპირ, დაიწყებოდა ღვინის სმა გრძელი სადღეგრძელოებით. ამას მოჰყვებოდა სიმღერა და ცეკვა-თამაში. მღეროდნენ ორპირად და შაიროობდნენ მხიარული და სააშიკო ლექსებით. ამ გაშაირებაში იმარჯვებდა ის მხარე, რომელიც მეტს დალევდა, მღეროდა და შაიროობდა უკეთესად...

წასვლის წინ ქალის მაყარს ნეფე ასაჩუქრებდა შეძლების მიხედვით 2-3 ცხენით. ქალის პატრონი სასიძოს ასაჩუქრებდა ცხენ-უნაგირით, აძლევდა აგრეთვე ნაბადსა და იარაღს. სიძე სიდედრს აძლევდა 10-20 მანეთამდის. შუამავალს - „მარებელს“ ეძლეოდა ფულად ქრთამის ერთი მეათედი და საკლავის ტყავ-ფენები. პატარძალი კი მას საჩუქრად აძლევდა ქისას, პირსახოცს და სხვა.

მეორე ღამეს ნეფე-დედოფალს ლოგინს გაუმართავდნენ ცალკე სადგომში, რომელსაც ეწოდებოდა „ამხარა“. „ხემანწყუ“ (ხელის შემწყობი) პატარძალს მიიყვანდა ამხარაში და იქ დააწვენდა. შემდეგ დადეს ნეფე მიყავდა, მას ამხარის კარებამდის მიაცილებდა და გამობრუნებისას დამბაჩას გაისროდნენ. „ხემანწყუ“ ამხარის ახლოს ტრიალებდა, ყურს უგდებდა მათ საუბარს და თუ რამე დასჭირდებოდათ, შეუტანდა. ნეფე-დედოფალი იქ რჩებოდა სამი დღე-ღამე. ნეფე ხემანწყუს ფულით ასაჩუქრებდა.

მეგრელი ქალი

ნეფე-პატარძალი წლის განმავლობაში ხალხში ერთმანეთს ხმას არ გასცემდნენ, რადგანაც სირცხვილად იყო მიჩნეული. ცოლ-ქმარი წინათ სამეგრელოში თავის სიცოცხლეში ერთმანეთს არ ეტყოდნენ ნამდვილი სახელს, სამაგიეროდ, არქმევდენ პირობით სახელს. პატარძალი დედამთილისა და მამამთილის სახელსაც ვერ იტყოდა, ამბობდა დედა და მამა. მაზლსა და მულსაც შეცვლილი სახელით იხსენიებდა. საზოგადოდ, უფროსს მაზლს პატარძალი იხსენიებდა „ბატონად“, საშუალოს „ბატა“-დ და პატარას კი „ჭიჭე ბოშად“. იმ შემთხვევაში, თუ პატარძალი რაიმე საქმის გამო

იძულებული იყო ეთქვა მაზლის ნამდვილი სახელი და გვარი, მაშინ იგი მივიდოდა მეზობლის სახლში, იქიდან წამოიყვანდა ვინმეს და მას ათქმევინებდა მის სახელსა და გვარს. პატარძალს ამასთანავე პატივი უნდა ეცა უფროსებისთვის, რაც გამოიხატებოდა მათი ფეხების დაბანაში 3 წლამდის. ოჯახში სტუმარი რომ მოვიდოდა, უმცროსი ქალი ან რძალი ვალდებული იყო სტუმრისათვის ფეხი დაებანა, შარვალი გაეხადა და დაეწვინა. თუ პატარძლი შვილის გაჩენამდის გარდაიცვლებოდა, მის მზითევს მშობლები უკანვე წაიღებდნენ.

ერთი წლის შემდეგ პატარძალს თავისი დედამის ოჯახში დააბრუნებდნენ. აქ გაიმართებოდა ლხინი და ნათესავ-მოკეთეები ასაჩუქრებდენ სიძე-პატარძალს. ამის შემდეგ პატარძლობა თავდებოდა და იგი შეუდგებოდა ოჯახის დიასახლისობას. ახლა პატარძლისაგან შვილის მოლოდინში იყვნენ, რომ იგი გამხდარიყო ოჯახის ნამდვილი და საპატიო წევრი. უშვილობა სამეგრელოში არასასიამოვნო შემთხვევად იყო მიჩნეული. თუ პატარძალი უშვილო გამოდგებოდა ან მას მხოლოდ ქალები უჩნდებოდა, მას პირველად წაიყვანდნენ და ალოცებდნენ თავის გყარის ხატში - „ჯინჯი ხატში“. თუ ეს არ უშველიდა, მაშინ ცოლ-ქმარი წავიდოდა სოფ. წაჩხურში და იქ შეევედრებოდნენ წაჩხურის მთავარანგელოზს შვილის მიცემას და თან შესაწირავად მიიტანდნენ სანთლებსა და აკვნის გამოსახულებას. ამის შემდეგაც თუ უშვილოდ დარჩებოდნენ, მაშინ მიმართავდნენ ასეთ სიმულიაციას: უშვილო ქალი მუცელზე ბალიშს გაიკეთებდა, ვითომ ორსულად იყო. წინასწარ შეთანხმებულ ორსულ ქალს მშობიარობის დრო რომ მოუწევდა, ვითომ ორსული ქალიც ლოგინზე დაწვებოდა და, როგორც მშობიარე, კვნესოდა. ამ დროს მოიყვანდნენ ახალშობილ ბავშვს და მას ლოგინში შეუგორებდნენ, რასაც ეწოდებოდა „მითორგინაფა“ და ეს ბავშვი ითვლებოდა მის ნამდვილ შვილად.

მასალა აღებულია წიგნიდან:
სერგი მაკალათია. *სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია.*
თბილისი, 1941

ერთი ტრადიციული დღესასწაული – კვირიკობა

წმიდა მოწამეები კვირიკე და ივლიტა მცირე აზიაში, ლიკაონიის ქალაქ იკონიაში ცხოვრობდნენ III საუკუნის ბოლოს. ივლიტა ქრისტიანი იყო. იგი ადრე დაქვრივდა და ერთადერთ ძეს – კვირიკეს კეთილმსახურებით ზრდიდა. როცა იმპერატორმა დიოკლეტიანემ (284-305) მართლმორწმუნეთა დევნა დაიწყო, ივლიტა შვილთან ერთად გაიხიზნა და გლახაკთა შორის ცხოვრობდა. თუმცა, ისინი მალევე დაასმინეს მმართველთან და სამსჯავროზე დაიბარეს.

ივლიტა სამსჯავროზე თავისი სამი წლის ძით ხელში მივიდა და ქრისტიანობა თამამად გამოაცხადა. განრისხებული მსაჯულის ბრძანებით ივლიტას შვილი ხელიდან გამოგლიჯეს და ხარის ძარღვებით დაუნდობლად დაუწყეს ცემა. დედის წამების შემყურე კვირიკე ტიროდა, ხელებს ასავსავებდა, ფეხებს ურტყამდა მტარვალებს და მათგან თავის გათავისუფლებას ცდილობდა. ბავშვის სილამაზით მოხიბლულმა ალექსანდრემ თავისთან მიაყვანინა იგი, კალთაში ჩაისვა და ფერება დაუწყო, მაგრამ ყრმა გაიძახოდა: **„მეც ქრისტიანი ვარ!“** და ტირილით მიიწევდა დედისკენ. გაავებულმა მმართველმა ბავშვი მიწაზე დაანარცხა და წიხლი ჰკრა. კვირიკე კიბის საფეხურებზე ჩაგორდა და გარდაიცვალა.

ივლიტამ შვილის ნეტარი აღსასრულისთვის მადლობა შესწირა უფალს, მმართველმა კი წამების გაძლიერება ბრძანა: ივლიტას ბასრი იარაღებით დაუწყეს ჯიჯგნა, ჭრილობებში კი გამდნარ ფისს ასხამდნენ, ბოლოს კი, რომ ვერ გატეხეს, თავი მოჰკვეთეს.

წმიდანთა წამება მოხდა დაახლოებით 305 წელს. ივლიტას გვამი კვირიკეს ცხედართან ერთად ქალაქგარეთ დააგდეს მხეცებისა და ფრინველების საჯიჯგნად, მაგრამ ერთგულმა მხევლებმა მოახერხეს, რომ ღამით ფარულად დაეფლათ ისინი.

კვირიკესა და ივლიტას მიმართ ლოცულობენ ოჯახური ბედნიერებისა და სნეულ ყრმათა მსწრაფლ განკურნებისათვის.

ზემო სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაში, ერთ-ერთი მთის წვერზე

დგას წმიდა კვირიკეს ტაძარი, რომელიც XI საუკუნეშია აგებული. თავდაპირველად ეს დედათა მონასტერი ყოფილა, სადაც სრულიად საქართველოდან მოსული „აზნაური“ და „უაზნო“ მონაზვნები მოღვაწეობდნენ.

კვირიკეს მთა მთა ძირიდან წვერამდე შემოსილია ტყით, ნაძვნარით, რომელიც საღმრთოდ ითვლება და სვანი იქ წკეპლასაც არ მოჭრის.

წმინდა კვირიკეს ტაძარი სვანეთში, სოფელ კალაში

კვირიკობის დღესასწაული აქ 28 ივლისს (ძველი სტილით 15 ივლისს) აღინიშნება და დაკავშირებულია წმიდა კვირიკესა და ივლიტას წამების დღესთან. კვირიკობას სვანეთში ლიგურკეს ეძახიან, ტაძარს კი ლაგურკას. ამ დღეს სვანები ეკლესიას საგანგებოდ ამ დღისთვის გაზრდილ თეთრ ცხვარს სწირავენ.

აქ დაცულია წმიდა კვირიკეს და ივლიტას XI-XII საუკუნეების რამდენიმე უძვირფასესი ხატი და ბიზანტიური ხელოვნების ნიმუში - ჯვარცმის მომინანქრებული სანაწილე ხატი, ე.წ. „შალიანის“ ხატი, რომელშიც ჩატანებულია ძელიცხოვლის ნაწილი. ეს ხატი სვანებს ყველაზე ძლიერად მიაჩნიათ და, ამიტომ, დიდი დანაშაულობის ჩადენაში ეჭვმიტანილებს ამ ხატზე აფიცებენ. როგორც ცნობილია, არ ყოფილა შემთხვევა, რომ სვანს ფიცის დროს თავისი დანაშაული არ ეღიარებინა.

არსად სვანეთში ეკლესიას მცველი არ ჰყავდა. მხოლოდ კალის ეკლესიას დღით და ღამით დარაჯობდა ორი შეიარაღებული სვანი. შალიანის ხატი შენახული ჰქონდათ აბრეშუმის მანდილში გამოხვეული, რკინით შეჭედილ სკივრში. წელიწადში ორჯერ, კვირიკეს და ივლიტას დღეობას, აღდგომის კვირის შაბათს და 28 ივლისს, ლაგურკაში სვანები რიტუალს ასრულებდნენ. კალას თემში რამდენიმე საპატიო მამაკაცი დილით „შალიანის“ ხატს დიდი პატივით გადმოასვენებდა ტაძრიდან და განბანდა, რის შემდეგაც სანთლებითა და წმ. ზედაშით სავსე ფიალებით გარშემო შემოუვლიდნენ ეკლესიას.

„შალიანის“ ხატი

რიტუალს თან ახლდა სვანური საგალობელი. სამრეკლოზე ირეკებოდა ზარი. ქუდმოხდილი მამაკაცები ეკლესიის გალავანში იჩოქებდნენ, ქალები კი მამაკაცებისგან განცალკევებით იდგნენ ერთად. სხვა სოფლებიდან მოსული მლოცველები ეკლესიის მოშორებით ელოდებოდნენ ლოცვის დასრულებას. როდესაც რიტუალი მთავრდებოდა, რჩეული მამაკაცები „შალიანის“ ხატს კვლავ შეასვენებდნენ ტაძარში. უხუცესი მამაკაცი ხატით დალოცავდა მთელს საქართველოს, სვანეთს, შეკრებილ ხალხს. ბოლოს უხუცესი ტაძარში შეაბრძანებდა „შალიანის“ წმინდა სანაწილე ხატს, რომელიც მომდევნო კვირიკობამდე იყო იქ დასვენებული. ხატის ნარეცხი წყალი ითვლებოდა წმინდა წყლად, რომელიც ყველაფერს არჩენდა, ყველაფერს შველოდა. ამ წყალს ასხამდნენ განსაკუთრებულ სპილენძის დოქში და ატარებდნენ სოფელში. ამ წყლის საშუალებით აფიცებდნენ ხალხს, ზოგჯერ, ხატის მაგიერ. ეს ორი ნივთი, შალიანის ხატი და საუცხოოდ შემკობილი, ნაჭედი, სპილენძის დოქი, შეადგენენ უმთავრეს და ფასდაუდებელ საგანძურს ამ ეკლესიისა. ლაგურკაში ეკლესიაში იშვიათად თუ შეუშვებდნენ, არა თუ საერო, არა-

მედ სამღვდელო პირთაც. ექვთიმე თაყაიშვილსაც ძალიან გასჭირვებია ამ ეკლესიის მოკვლევა.

როგორც სვანური ეკლესიების უმრავლესობა, ეს ეკლესიაც დარბაზული ტიპისაა.

დასავლეთის კედელზე მოთავსებული ასომთავრული წარწერა გვამცნობს, რომ ეკლესია მოხატა მხატვარმა თევდორემ, რომელიც დემეტრე მეფის კარზე მოღვაწეობდა, 1112 წელს.

ეკლესიის დასავლეთ კედელზე, შესასვლელი კარების ზემოთ, კედლის მთელ სიგანეზე მოთავსებულია ლურჯ ფონზე თეთრი საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერა სამ სტრიქონად: *"სახელითა ღმრთისაითა. მოიხატა და შეიმკო წმიდაი ესე ეკლესიაი წმიდისა კვირიკესი სადიდებელად და სალოცველად ამის ხევისა აზნაურთა ყოველთა, რომელნი აშენებენ ამას წმიდასა ეკლესიასა; წმიდაო კვირიკე, ადიდენ და შეიწყალენ ყოველნი, ამენ."*

წმინდა კვირიკეს ხელის მტევანი

ამჟამად კალის თემის ეკლესიების მთელი საგანძური ლაგურკას ეკლესიაშია თავმოყრილი. ხატები წმ. კვირიკეს გამოსახულებით მხოლოდ სვანეთშია დაცული. ლაგურკას ეკლესიამ წმ. კვირიკეს ათი ხატი შემოგვინახა, რომლებიც სხვადასხვა დროს მიეკუთვნება და წარმოადგენს მას ტრადიციულად, როგორც მოწამეს ჯვრით ხელში. ეს ხატები სპეციალურად ამ ეკლესიისთვის იყო შესრულებული. მხოლოდ ერთ ხატზეა წმ. კვირიკე დედასთან – წმ. ივლიტასთან ერთად გამოსახული.

წმიდა კვირიკეს ხელის მტევანი საქართველოში, ზუგდიდში, დადიანების სასახლის მუზეუმში ინახება.

მასალა დამუშავებულია
მაკა ხარძიანის *მიერ*
ინტერნეტრესურსებზე დაყრდნობით

მოწამეთა შენთა, უფალო

წმიდა კვირიკეს და ივლიტას ტროპარი. ხმა დ

Thy Martyrs O Lord

Troparion of St. Kvirike and Ivlita. Tone 4

28 (15) ივლისს - 28 (15) July

შენ მი - ერ, — ღვთი - სა ჩვე - ნი - სა; რა - მე - თუ,
შენ მი - ერ, — ღვთი - სა ჩვე - ნი - სა; რა - მე - თუ,
shen mi - er, — ghvti - sa chve - ni - sa; ra - me - tu,
აქვნ-დათ მათ შენ - მი - ე - რი ძა - ლი, და მძლავ-რი
აქვნ-დათ მათ შენ - მი - ე - რი ძა - ლი, და მძლავ-რი
akvn-dat mat shen - mi - e - ri dza - li, da mdzlav-ri
და - მხვეს და შე-მუს-რეს კერპ - - - თა ი -
და - მხვეს და შე-მუს-რეს კერპ - - - თა ი -
da - mkhves da she-mus-res k'erp' - - - ta i -
გი უ - ძლუ - რი ძა - ლი;
გი უ - ძლუ - რი ძა - ლი;
gi u - dzlu - ri dza - li;


მა - თი - თა მე - ო ხე - ბი - თა,
მა - თი - თა მე - ო ხე - ბი - თა,
ma - ti - ta me - o khe - bi - ta,
ქრის-ტე ღმერ - თო, ა - ცხოვ - ნენ სულ-ნი ჩვენ-ნი!
ქრის-ტე ღმერ - თო, ა - ცხოვ - ნენ სულ-ნი ჩვენ-ნი!
kris - t'e ghmer - to, a - tskhov - nen sul - ni chven - ni!

რედაქტორი:

მაკა ხარძიანი

ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ტმკსც-ის სპეციალისტი

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარძიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2023

eISSN–1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E–mail: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

www.symposium.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2023 წლის ივნისში